წელიწადი მეცამეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები: რედ.: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—26—17, სამდივნოსი—10—53, მთ. კანტორის—3—31.

14 ოქტომბერი 1933 წ.
№ 237 (3793)

განათლების კომისარიატის აპარატის რეორგანიზაციისათვის

სოციალისტური მშენებლობის უმაგალითო გამარჯვებათა საფუძველზე, რომელსაც მიაღწია საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა, ლენინური პარტიისა და ბელადის ამხ. **სტალინის** ხელმძღვანელობით — გიგანტური წარმატებები მოვიპოვეთ კულტურული მშენებლობის დარგშიაც.

„მიზანშეწონილმა ბოლშევიკურმა ნებისყოფამ მიგვიყვანა იქამდე, რომ უვიცი, ჩამორჩენილი ქვეყანა, რომელსაც მოეპოებოდა ერთეული, და ათეული სასწავლო დაწესებულებები „პრივილეგიურთათვის“, დაიფარა, ყოველგვარი ტიპის სასწავლო დაწესებულებების ფართო ქსელით, ახორციელებს საყოველთაო სავალდებულო სწავლებას“ („პრავდა“).

საქართველოში ამჟამად 4.400-ზე მეტი დაწყებითი და საშუალო სკოლაა, სადაც ნახევარი მილიონი მოსწავლე სწავლობს. უკვე გატარებულია პირველდაწყებითი საყოველთაო სავალდებულო სწავლება, სკოლის ასაკის ყველა ბავში მოთავსებულია სკოლაში, წარმატებით ხორციელდება პარტიის პროგრამის მოთხოვნა საერთო და პოლიტექნიკური განათლების შემოღების შესახებ ყველა ბავშთა და მოზარდთა მიმართ 17 წლის ასაკამდე.

პრინციპიალურად სხვა გვარი გახდა სკოლის მთელი მუშაობის შინაარსი.

მაგრამ მიუხედავად ამისა, სახალხო განათლების სისტემის მუშაობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანებს, არ არის აღმოფხვრილი სკოლის მუშაობის **„ძირითადი ნაკლი“**, სკოლა ჯერ კიდევ ვერ აიარაღებს მოზარდ თაობას მაღალი საერთო განათლებით; **დაბალია მოსწავლეთა მომზადების ხარისხი.**

სკოლის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება, „ძირითადი ნაკლის“ აღმოფხვრა და ყველა იმ ამოცანების წარმატებით განხორციელება, რომელთაც საბჭოთა სკოლას უყენებს სოციალისტურ მშენებლობის ეხლანდელი ეტაპი, მოითხოვს განათლების ორგანოების, პირველ რიგში, განათლების კომისარიატის მოქნილ მუშაობას, სკოლებზე მეთოდურ პროგრამულ ხელმძღვანელობის დახმარების გადაჭრით გაძლიერებას, თვითეულ სკოლისა და ჯგუფისადმი დიფერენცირებულ მიდგომას.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა ჯერ კიდევ 1931 წელს, თავის 5 სექტემბრის დადგენილებაში მკვეთრად განსაზღვრა განსახკომის და განათლების ორგანოების ამოცანები სკოლის მუშაობის ხარისხისათვის ბრძოლის საქმეში. ამ დადგენილებაში ნათქვამი იყო: „ც. კ-ი წინადადებას აძლევს მოკავშირე რესპუბლიკების განსახკომებს — გადაჭრით გარდაქმნან სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელობის პრაქტიკა, გადააქციონ იგი ნამდვილ ოპერატიულად, დიფერენცირებულად და მთელი ყურადღება მიაპყრონ უმნიშვნელოვანეს სამრეწველო რაიონებს (ლითონი, ქვანახშირი, ნავთი და სხვა), საბჭოთა მეურნეობებს, სამ. სატრ. სადგურებს, მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებს და ახალ მშენებლობებს; აღმოფხვრან „გათანაბრებითი“ მიდგომა ძალების და საშუალებების განაწილებაში და თავი მოუყარონ მათ უპირველეს ყოვლისა სოციალისტური მშენებლობის წამყვან უბნებზე“.

მიუხედავად იმისა, რომ საკმაო დრო გავიდა, ჯერ კიდევ არ შეიძლება იმის თქმა, რომ საქ. განსახკომმა ამ მითითებების მიხედვით გადაახალისა თავისი აპარატის მუშაობა.

საქართველოს ცაკი და სახკომსაბჭო, თავიანთ 11 ოქტომბრის დადგენილებაში, რომელიც **„კომუნისტი“**ს 12 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა, მიუთითებენ, რომ უკანასკნელ დრომდე საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი საკმარის ხელმძღვანელობას ვერ უწევდა სკოლებს და მეთოდურ დახმარებას მასწავლებლებს, მათ ყოველდღიურ სასწავლო - საგანმანათლებლო მუშაობაში.

„საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის სტრუქტურა; ვკითხულობთ აღნიშნულ დადგენილებაში, — **არ შეესაბამება პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა საფუძველზე სკოლის გარდაქმნის ამოცანებს, ფუნქციების ცალკეულ სექტორებზე დაქსაქსულობისა და მუშაობის ცალკეულ დარგების ხაზით ერთპიროვნულ ხელმძღვანელობის უქონლობის გამო“.**

ყველა ის ძირითადი დეფექტი, რომელიც სასწავლო პროგრამის, სკოლის რეჟიმის, სწავლების ხარისხის და სხვ. დარგში აღნიშნა საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. კომიტეტმა თავის 1931 წ. 5 სექტემბრის და 1932 წ. 25 აგვისტოს დადგენილებებში, უმთავრესად გამოწვეულია განათლების სახალხო კომისარიატის აპარატის მოუქნელი სტრუქტურით და მისი ადგილობრივი ორგანოების სრულიად არა საკმარისი მუშაობით.

ერთპიროვნული ხელმძღვანელობის უქონლობა, სკოლებზე ხელმძღვანელობის დაქსაქსვა, მასწავლებლებზე არა საკმარისი მეთოდური დახმარება და ხელმძღვანელობა, უაღრესად პასუხსაგები საქმის, სტაბილური სახელმძღვანელო წიგნის და პროგრამების შედგენის სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოსათვის დაკისრება, რაიონულ განათლების განყოფილებებთან და სკოლებთან სუსტი კავშირი, მთელ რიგ შემთხვევებში კი მოწყვეტაც — აი განათლების კომისარიატის აპარატის სტრუქტურის ის უარყოფითი მხარეები, რომლებიც აფერხებენ სკოლის მუშაობის გარდაქმნას, მაღალხარისხოვან სტაბილური სახელმძღვანელო პროგრამის შედგენას, მასწავლებლის პედაგოგიურ კვალიფიკაციის ამაღლებას და სკოლის მუშაობის მთლიანად დაკავშირებას სოციალისტური აღმშენებლობის ყოველდღიურ ამოცანებთან.

საქართველოს ცენტ. აღმასრულებელ კომიტეტის და სახკომსაბჭოს ზემოდ დასახელებული დადგენილების მიხედვით უნდა მოხდეს განათლების სახალხო კომისარიატის აპარატის რეორგანიზაცია. ამ რეორგანიზაციის გატარება უზრუნველყოფს განათლების ორგანოების აპარატის გარდაქმნას და მის აყვანას ახალგაზრდა თაობის კომუნისტურად აღზრდის და მშრომელთა უმაგალითოდ გაზრდილ კულტურულ მოთხოვნათა სიმაღლემდე.

ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილების საფუძველზე უქმდება სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო, სასწავლო მეთოდსექტორი, ხელოვნებათა სექტორი, კადრების მომზადებისა და მასობრივ პოლიტგანათლების სექტორი, რომელთა ნაცვლად უნდა მოეწყოს ცალკე **სამმართველოები** (დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველო 4 სექტორით, მასწავლებელთა მომზადების სამმართველო 3 სექტორით სამეცნიერო და სამეცნიერო - საკვლევო დაწესებულებათა სამმართველო 3 სექტორით, თეატრებისა და სანახაობების საწარმოთა სამმართველო 2 სექტორით) და **განყოფილებანი** (სკოლის ასაკამდე აღზრდის, მოზრდილთა სკოლების, სოფლის სამკითხველოების, კლუბების, კულტურის სახლების, კულტურის და დასვენების პარკების განყოფილება, საგეგმო - საფინანსო, სააღმშენებლო და სამომარაგებლო, საბიბლიოთეკო და სხვ.).

განათლების სახალხო კომისარიატის აპარატის ასეთი სტრუქტურა ეხლანდელ ეტაპზე სავსებით უზრუნველჰყოფს სკოლის წინაშე პარტიისა და მთავრობის მიერ დასმულ ამოცანების წარმატებით განხორციელებას; ეხლა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ამ დადგენილების საფუძველზე **უმოკლეს ვადაში დავამთავროთ განსახკომის აპარატის რეორგანიზაცია**, განვამტკიცოთ იგი შემოწმებული პარტიული და საბჭოთა კადრებით, დავნერგოთ მტკიცე ერთმართველობა...

მიმდინარე სასწავლო წლის წინაშე პარტიამ უაღრესად პასუხსაგები ამოცანები დააყენა. ეს ამოცანები მდგომარეობს იმაში, რომ რადაც არ უნდა დაგვიჯდეს წელს უნდა მივაღწიოთ სკოლის „ძირითადი ნაკლის“ აღმოფხვრას; სწავლების ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებას სკოლაში, მასწავლებლის გამძღოლი როლის უზრუნველყოფას ლენინური პოლიტექნიზაციის შემდგომ დანერგვას.

ყველა ამ ამოცანების წარმატებით განხორციელება მთლიანად დამოკიდებულია განათლების კომისარიატის და მისი ადგილობრივი ორგანოების მოქნილ და ოპერატიულ მუშაობაზე, სკოლებთან ცოცხალ და ყოველდღიურ კავშირზე: ამ ამოცანებს განვახორციელებთ, თუ დროულად და სწორად ჩავატარებთ განსახკომის აპარატის რეორგანიზაციას, თუ მარქს, ლენინ, სტალინის პოლიტექნიკური სკოლის ხელმძღვანელობას ჩავაბარებთ პარტიის მიერ შემოწმებულ კომუნისტ და საბჭოთა მუშაკებს, ლენინური პოლიტექნიკური სკოლის მშენებლობის ნამდვილ ოსტატებს, განათლების კომისარიატის აპარატს თუ კიდევ უფრო დაუახლოვებთ სკოლებს და მასწავლებლებს.

კოლმეურნეობებში ახალი ძალა მტკიცდება

რუსეთის პროლეტარიატმა, ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, 1917 წლის ოქტომბერს ბოლო მოუღო მეფის იმპერიას. ნორჩი საბჭოთა მთავრობის ერთერთი პირველი ნაბიჯი იყო იმ კანონების მოსპობა, რომლებიც ქალს ხელქვეით მონურ მდგომარეობაში აყენებდენ, და ისეთი კანონების შექმნა, რომლებიც ქალს ყველა უფლებაში ათანასწორებდენ მამაკაცთან—კლასობრივ ბრძოლისა და შრომაში მის ამხანაგთან.

1920 წელს ვ. ი. ლენინი გვაფრთხილებდა, რომ „თანასწორობა კანონით ჯერ კიდევ არ არის თანასწორება ცხოვრებაში“. ქალისათვის რომ მიგვეცა შესაძლებლობა ესარგებლა პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებებით არა ფორმალურად, არამედ არსებითად, უნდა გაგვენთავისუფლებია ქალი მატერიალური დამოკიდებულებისაგან, ე. ი. უზრუნველგვეყო მისთვის სრული ეკონომიური დამოუკიდებლობა. „ქალის სრული განთავისუფლებისა და მამაკაცთან მისი ნამდვილი გათანასწორებისათვის საჭიროა, რომ იყოს საზოგადოებრივი მეურნეობა და ქალი მონაწილეობას ღებულობდეს საერთო წარმოებით შრომაში, მაშინ ქალი ისეთივე მდგომარეობაში იქნება, როგორც მამაკაცი“,— ასე აყენებდა ლენინი საკითხს.

მშრომელმა გლეხ-ქალმა თუმცა 1917 წლის ოქტომბერში ყველა პოლიტიკური და სამოქალაქო უფლება მიიღო, მაგრამ იგი ჩამორჩებოდა მუშა-ქალებს ფაქტიური თანასწორუფლებიანობის მხრივ. ის რჩებოდა წვრილი ერთპიროვნული მეურნეობის პირობებში, მატერიალურად კვლავ მამაკაცებისაგან იყო დამოკიდებული, თავის პატარა ნაჭერ მიწაზე კაბალურ შრომას ეწეოდა, ხშირად თავის მხრებზე გადაჰქონდა დიდი ოჯახის ყველა უბედურება და სიმძიმე.

უკანასკნელ სამ-ოთხ წელს დაიმსხვრა, სრულიად გაცამტვერდა ძველი მონური წყობა. ლენინის და სტალინის პარტიამ დაიწყო შეუპოვარი და ყოველდღიური ბრძოლა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნისათვის. და როგორც კატორღელისათვის განთავისუფლების პირველ წუთში მტკივნეულია სისხლიან-ხორციანად მოიგლიჯოს მის სხეულში შეჭრილი ბორკილები, ისე გლეხ-ქალმაც მუნჯმა, თავის ნახევრად-პირუტყვულ არსებობას საუკუნეობით შეჩვეულმა,—ერთბაშად ვერ გაიგო, თუ რა მოჰქონდა მისთვის საკოლმეურნეო წყობილებას, ებღაუჭებოდა რა თავის პატარა, უბადრუკ მეურნეობას, ქალი აქა-იქ საკოლმეურნეო წყობილების პირველ ხანებში ხდებოდა მისი განვითარების შემაფერხებელი, ძალა, ყოველნაირად თავს არიდებდა წარმოების საშუალებათა და მუშა-პირუტყვის განსაზოგადოებას. კოლმეურნეობაში შესვლის შემდეგაც ზოგჯერ ძნელად ურიგდებოდა იმ სიახლეს, რომელიც კოლმეურნეობაში მუშაობას მის ცხოვრებაში შეჰქონდა.

საკოლმეურნეო წყობილების ბრწყინვალე წარმატებებმა კაცობრიობის ისტორიაში პირველად მნათლად დაარწმუნეს გლეხი-ქალი, რომ ის გახდა ადამიანი, რომელსაც აქვს არა მარტო უფლება, არამედ შესაძლებლობაც აშენოს ახალი მშვენიერი ცხოვრება. კოლმეურნე ქალს — კოლმეურნეობის თანასწორუფლებიან წევრს,—საკოლმეურნეო მინდვრებზე სამუშაოს შესრულებისათვის აქვს თავისი, და არა ქმრის ან მამის, -შრომა-დღეები. ის თითონ ღებულობს კოლმეურნეობისაგან შრომით შეძენილ პურს. ეს იმას ნიშნავს, რომ მან მიიღო ეკონომიური დამოუკიდებლობა და მატერიალურად უკვე აღარ არის დამოკიდებული ერთი კაცისა და მისი მეურნეობისაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ ის თავისუფალია ცხოვრების თანამგზავრის არჩევაში, რომ ბოლო მოეღო ჩაგვრას და უუფლებობას, რომ მას შეუძლია ისწავლოს, განვითარდეს, გაიზარდოს ისე, როგორც ამას საკუთარი გონება უკარნახებს. ეს იმას ნიშნავს, რომ კოლმეურნეობაში აღარ გაისმის სიმღერა ქალის მწარე ხვედრზე და იგი ადგილს უთმობს სიმღერას მშვენიერ და გაბედულ ცხოვრებაზე. ამხ. სტალინმა სთქვა: „რაც შეეხება თითონ კოლმეურნე ქალებს, მათ უნდა ახსოვდეთ კოლმეურნეობათა ძალა და მნიშვნელობა ქალებისათვის, უნდა ახსოვდეთ, რომ მათ მხოლოდ კოლმეურნეობაში აქვთ შესაძლებლობა მხარში ამოუდგენ მამაკაცს. კოლმეურნეობათა გარეშე უთანასწორობაა, კოლმეურნეობებში კი უფლებათა თანასწორობაა. დეე. ახსოვდეთ ეს ამხანაგ კოლმეურნე ქალებს და დეე, დაიცვან მათ საკოლმეურნეო წყობილება, როგორც თვალის ჩინი“.

საკოლმეურნეო მინდვრების ასეული ათასი დამკვრელი ქალები, რომელნიც გვიჩვენებენ სოციალისტური შრომის ნიმუშებს, ფრჩხილებით და კბილებით იცავენ საზოგადოებრივ საკოლმეურნეო საკუთრებას, გააფთრებით ებრძვიან ზარმაცებს და კულაკებს,—საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია, რომ სოფლის დამკვრელმა ქალმა ბოლომდის შეიგნო, შეითვისა და მტკიცედ დაიმახსოვრა პარტიის ბელადის სიტყვები. ასეთი ქალები ჩამორჩენილებიდან უკვე მოწინავენი გახდენ, ასეთი ქალები „კოლმეურნეობებში დიდი ძალაა“ (სტალინი).

კოლმეურნე გლეხი-ქალის შეგნებაში მომხდარი უდიდესი გარდატეხა ჩვენ უნდა განვამტკიცოთ და გავაძლიეროთ. უფრო და უფრო უნდა შევუქმნათ ქალს ისეთი პირობები, როცა მას მთლიანად შეეძლება თავისი დრო წარმოებით შრომას მოანდომოს. მართალი არ არიან ისინი, ვისაც ბაგების, საბავშვო ბაღების, სკოლების, საზოგადოებრივი სასადილოების და სამრეცხაოების მშენებლობა მეორეხარისხოვან საქმედ, სახვათაშორისო საქმედ მიაჩნია. ეს დიდი სოციალისტური, ხალისიანი კულტურის საქმეა, იმაზე, თუ რამდენად სწრაფად და წარმატებით დავძლევთ ამ საქმეს,—ამაზე დამოკიდებულია ქალაქების შემდგომი პოლიტიკური და კულტურული ზრდა.

დამკვრელი კოლმეურნე ქალი, მუშა-ქალი, ქალი ინჟინერ-კონსტრუქტორი, სამეცნიერო მუშაკი, პილოტი,—ყველა ისინი ახალი ნამდვილი ცხოვრების გმირებია და მოელიან სიტყვის ხელოვანს, რომ გახდენ ახალი წიგნების გმირები. მსოფლიო ლიტერატურაში ქალის თემას უკანასკნელი ადგილი როდი უკავია. ქალი რომანის, მოთხრობის, პოემის, ნოველის გმირია. მაგრამ მწერლები და პოეტები იმავე წყობილების პროდუქტი იყვნენ, რომელმაც ქალის უუფლებო მდგომარეობა წარმოშვა. ამიტომ მათ წიგნებში ბურჟუაზიული მორალი ზეიმობს. და თუ ბურჟუაზიულ-ლიბერალური პოეტები ზოგჯერ ჟუჟღუნებდენ: „გზა ქალს“-ო და მოუწოდებდენ მას „სინათლისა და თავისუფლებისაკენ“, ისინი მხოლოდ ბურჟუაზიული სალონების მომხიბვლელ უსაქმურ ქალებზე ფიქრობდენ. მუშა-ქალს, გლეხ-ქალს კი აკუთვნებდენ მხოლოდ უფლებას საძაგელ, საზიზღარ მონობაში ყოფილიყო, უფლებას გაჭირვებასა, ცრემლებსა და ავადმყოფობაში დაელია თავისი სიცოცხლე და ნაადრევად მომკვდარიყო. მხოლოდ ამ უფლებით სარგებლობენ დღეს მუშა-ქალები და გლეხი-ქალები საბჭოთა კავშირის გადაღმა. იქ, კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომლებსაც კრიზისი ახრჩობს, ქალი უფრო და უფრო იღუპება წელში. კაპიტალისტურ ქვეყნებში შიმშილის მეხუთე ზამთარი იწყება. გამოუვალი გაჭირვება, ნახევრადმშიერი არსებობა, თვითმკვლელობა, პროსტიტუცია—აი რა მოელის ქალს, და ის უდრტვინველად მიათრევს თავის ბედს; საპყრობილე, ფაშისტური საკანი, სიკვდილით დასჯა—ასეთია ქალის ხვედრი, თუ ის ხედავს აქტიურად დაუჭიროს მხარი ქმარს, მამას, ძმას, ამხანაგს რევოლუციურ ბრძოლაში.

1921 წელს ლენინმა თქვა: „იმპერიალიზმის უღლისაგან ხალხთა განთავისუფლება, კაპიტალის უღლისაგან მუშების და მუშა-ქალების განთავისუფლება შეუჩერებლივ მიდის წინ. ეს საქმე წინ წასწიეს ათეულ და ასეულ მილიონმა მუშებმა და მუშა-ქალებმა, გლეხებმა და გლეხ-ქალებმა. და ამიტომ კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლების საქმე მთელს მსოფლიოში გაიმარჯვებს“.

უკანასკნელი წლების მოვლენები გვიჩვენებენ, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ლენინის წინას-წარმეტყველური სიტყვები განხორციელდება. საბჭოთა კავშირის მუშა-ქალები და კოლმეურნე ქალები კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელ ქალს, კოლონიების და ნახევრადკოლონიების ქალს უჩვენებენ მაგალითს, თუ როგორაა საჭირო ბრძოლა თავის განთავისუფლებისათვის. ქალის განთავისუფლება წარმოუდგენელია სოციალისტური რევოლუციის გზების გარეშე. ამ გზებს ბოლშევიკების პარტია გვიჩვენებს. ესაა ოქტომბრის უდიდესი რევოლუცია, ბურჟუაზიის დამხობა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება. ესაა მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მქონე კოლექტივიზაცია და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია, რამაც ათეულობით მილიონი გლეხი-ქალი ჩააყენა მამაკაცის გვერდით ცხოვრების და შრომის მხრივ თანასწორ პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობებში.

(„პრავდა“-ს 13 ოქტომბრის მოწინავე წერილიდან).

ლეიპციგის პროცესი

„მთელი მსოფლიო დარწმუნებულია ტორგლერის და ბულგარელების უდანაშაულობაში“

კომუნისტებისათვის წაყენებული ბრალდება სამარცხვინოდ ჩაიშალა

პრაგა, 10 ოქტომბერი. „ჩესკე სლოვო“ (ბენეშის პარტიის ორგანო) აჯამებს ლეიპციგში გამართული პროცესის სხდომების შედეგებს. გაზეთი დამტკიცებულად სთვლის:

1) პროცესის ყველა დამსწრე მტკიცედ დარწმუნებულია ტორგლერის და ბულგარელი კომუნისტების უდანაშაულობაში—ამ აზრს იზიარებს აგრეთვე მთელი მსოფლიო;

2) ბრალდებულმა კომუნისტებმა სავსებით დაამტკიცეს თავიანთი ალიბი;

3) ვან-დერ-ლუბემ სავსებით აშკარად განაცხადა, რომ ბრალდებულ კომუნისტებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ცეცხლის წაკიდებასთან.

4) არ არის არც ერთი მოწმე, რომელსაც დაემტკიცებიოს ტორგლერის და ბულგარელი კომუნისტების მონაწილეობა რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდებაში.

რაც შეეხება ვან-დერ-ლუბეს, გაზეთის სიტყვით, იგი ახდენს ისეთი ადამიანის შთაბეჭდილებას, რომლის წინაშე დასახულია ამოცანა ნაკლები ილაპარაკოს, რათა ამით საქმე არ გააფუჭოს.

იურიდიული თვალსაზრისით, გაზეთი განვლილ სამ კვირას აფასებს, როგორც **ბრალდების სამარ-ცხვინოდ ჩაშლას.** მიუხედავად ამისა, გაზეთის აზრით შეცდომა იქნებოდა გამოგვეტანა აქედან დასკვნა, ბრალდებული კომუნისტები თითქოს გადარჩენილიყვნენ. ტორგლერი და სამი ბულგარელი კომუნისტი, კვლავ დიდ საფრთხეში არიანო. (ადს).

მოსყიდულ მოწმეთა დაკითხვას განაგრძობენ

პრაგა, 10 ოქტომბერი. „მოწმე“ ფლეტერის დაკითხვის შემდეგ სასამართლო შეუდგა ახალი „მოწმის“ ტალერის დაკითხვას. ტალერის ამოცანას შეადგენს დაადასტუროს უკანასკნელი ოფიციალური ვერსია იმის შესახებ, რომ ვან-დერ-ლუბე —მარტო თუ თანამონაწილეებთან ერთად —გადაძვრა რეიხსტაგის ფანჯარაში, და ამით მოხსნას საკითხი ცეცხლისწამკიდებლების მიერ გერინგის ბინიდან მიმავალი გვირაბის გამოყენების შესახებ. „მოწმე“ ტალერი უჩვენებს, თითქოს, მან დაინახა როგორ გადაძვრა რეიხსტაგის ფანჯარაში ორი კაცი. როგორც კი გაიგონა, რომ ფანჯარას ამტვრევენ, ტალერმა, ვითომდა, აირბინა რეიხსტაგის ბალუსტრადაზე. მან ერთი მათგანი დაინახა გარკვევით, ხოლო მეორეს სილუეტი შენიშნა. შემდეგ ტალერმა „დაინახა“, როგორ მირბოდა ვიღაც რეიხსტაგის რესტორანის შენობაში ჩირაღდანით ხელში. სასამართლოს ოფიციალური ანგარიშის მიხედვით, ტალერმა განაცხადა, რომ ხანძრის გაჩენიდან რამდენიმე წუთის შემდეგ რეიხსტაგში მივიდნენ პოლიციელები და მეხანძრეები. ჩააქრეს რა ხანძარი რესტორანში, მეხანძრეები წავიდნენ. დაიშალა აგრეთვე რეიხსტაგის მახლობლად შეკრებილი ხალხი, წავიდა ტალერიც. ტრიუმფალურ სვეტთან მან უკან მოიხედა და, დაინახა რა რეიხსტაგის გუმბათში ცეცხლი, დაბრუნდა და აცნობა მეხანძრეებს, რომ შენობა შიგნიდანაც იწვის. ამ „ჩვენების“ შემდეგ გაუგებარი ხდება, რატომ წავიდნენ ასე დამშვიდებულნი პოლიციელები და მეხანძრეები, როგორც კი ჩააქრეს ცეცხლი რესტორანში, ვინ მისცა მათ განკარგულება წასულიყვნენ და კვლავ დაბრუნებულიყვნენ, როცა ცეცხლი გაუჩნდა სხდომის დარბაზს. მეტად საეჭვოა აგრეთვე დღევანდელ სხდომაზე მომხდარი ფაქტი, სახელდობრ ის, რომ მოწმედ გამოწვეულმა პოლიციელმა **ბუვერტმა,** რომელიც პირველი მივიდა რეიხსტაგში ხანძრის დროს, დღეს ვერ იცნო „მოწმე“ ტალერი, რომელმაც, თითქოს, მას აცნობა ხანძრის შესახებ. შემდეგში ბუვერტი უხერხულად ცდილობდა გამოესწორებინა თავისი უხეირო ჩვენება.

პრაღა, 11 ოქტომბერი. ბერლინიდან იუწყებიან, რომ სასამართლოს დღევანდელ სხდომაზე, როგორც მოწმე, პირველად დაკითხულ იქნა „ბრანდენბურგერ ტორის“ საპოლიციო ნაწილის უფროსი ლატეიტი, რომლის უბანშიაც მდებარეობს რეიხსტაგი და რომელიც ხანძრის დროს ხელმძღვანელობდა საპოლიციო ღონისძიებებს. ლატეიტის სიტყვით, 9 საათსა და 15 წუთზე საპოლიციო უბანში გამოცხადდა ვიღაც კაცი და განაცხადა რეიხსტაგი იწვისო. მე,—ამბობს მოწმე,—დაუყოვნებლივ გავემგზავრე რეიხსტაგში და დავინახე, რომ პლენარულ დარბაზში იწვის პორტიერები და ვან-დერ-ლუბეს პალტო, რომელიც მე ბალიშად მომეჩვენა. მოწმის სიტყვით, ხანძარს მეტად უცნაური ხასიათი ჰქონდა: პორტიერები იწვოდა ქვემოდან, ხოლო შუაზე, რეიხსტაგის თავმჯდომარის ადგილის ზემოთ, სამ ალაგას მოსჩანდა ცეცხლის ალი, ამასთან შუა ალი უფრო დიდი იყო, ხოლო ორივე მხრით უფრო ნაკლები. იქმნება არა ხანძრის, არამედ ისეთი ხელოვნური გაჩირაღდნების შთაბეჭდილება, რომლებსაც ასე მოხერხებულად აწყობენ ნაციონალ-სოციალისტები. შემდეგ, ლატეიტის სიტყვით, მან რამდენიმე ადგილას შეამჩნია ალში გახვეული ნოხები, ქაღალდების ჩასაყრელი კალათები და სხვ. დერეფანში მოწმემ იპოვა ვან-დერ-ლუბეს ქუდი, კალოშები და ნაჭერი საპონი. როცა ლატეიტმა პოლიციელებისაგან გაიგო, რომ რეიხსტაგში დაპატიმრებულია ვან-დერ-ლუბე, რომელიც უკვე წაუყვანიათ საპოლიციო ნაწილში, იგი დაუყოვნებლივ გაემგზავრა იქეთკენ და ჰკითხა ვან-დერ-ლუბეს: ეკუთვნის თუ არა მას ნაპოვნი ნივთები. ვან-დერ-ლუბემ უპასუხა, რომ ნივთები მას ეკუთვნის. მოწმემ ჰკითხა: წაუკიდა თუ არა მან რეიხსტაგს ცეცხლი. ვან-დერ-ლუბემ დადებითი პასუხი მისცა. აქ მოწმე ისე გაიტაცა ლაპარაკმა, რომ თვითვე უხეშად [illegible] თავის ჩვენებას. მისი სიტყვით, იგ იქვე, ვან-დერ-ლუბეს დაპატიმრებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა ჯერ კიდევ არავინ იცოდა ვერსია, რომ ვან-დერ-ლუბეს თითქოს განზრახვა ჰქონდა ცეცხლი წაეკიდებია სასახლისა და ტაძრისათვის, შეეკითხა მას: „მართალია თუ არა, რომ თქვენ გსურდათ წაგეკიდებიათ ცეცხლი სასახლისა და ტაძრისათვის“. ამაზე ვან-დერ-ლუბემ თითქოს უპასუხა: „კი“. თავმჯდომარე ცდილობს მიჩქმალოს მოწმის აშკარა სიცრუე და აცხადებს: „ჩვენ არაფერი არ გვსმენია ტაძრისათვის ცეცხლის წაკიდების გეგმების შესახებ“. ლატეიტი მიხვდა თავმჯდომარის ნიშანს და განაცხადა, რომ ვან-დერ-ლუბეს ამ გეგმების შესახებ მან გაიგო საპოლიციო ნაწილში. შემდეგ პროკურორსა და მოწმეებს შორის გაიმართა დიალოგი, რაც იმას მოწმობს, რომ პროცესის ორგანიზატორები ცდილობენ მიჩქმალონ ის ფაქტი, რომ ცეცხლის წაკიდებაში მონაწილეობას ღებულობდა მრავალი პირი. პროკურორი ვერნერი ეკითხება: „იცის თუ არა რამე ლატეიტმა იმ მტკიცების შესახებ, თითქოს რეიხსტაგში აღმოჩენილ იქნა მრავალი ცენტნერი საწვავი ნივთიერებანი“. ლატეიტმა უპასუხა: „ჩვენ გულდასმით გავჩხრიკეთ ყველაფერი, თვით ყველა შკაფიც კი, მაგრამ ვერაფერი ვერ ვიპოვეთ“. ამ უხეში ცრუმოწმეობის გამო საჭიროა გავიხსენოთ, რომ საბრალმდებლო ცნობებში, აგრეთვე ყველა გაზეთში რეიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდების შემდეგ ამტკიცებდენ, რომ რეიხსტაგში ნაპოვნი საწვავი ნივთიერებანი გატანილ იქნა სატვირთო მანქანებით. აქედან ის დასკვნა გამოყავდათ, რომ ცეცხლის წაკიდებაში მონაწილეობას ღებულობდა დაახლოებით 20 კაცი. ამ უმნიშვნელოვანეს მოწმის უხეში ცრუმოწმეობა—დიდი მარცხია პროცესის ორგანიზატორებისათვის (ადს).

„ყოვლად დაუშვებელი კითხვები“

ვოლფის სააგენტოს ცნობის მიხედვით, **დიმიტროვმა** „კვლავ დაიწყო ყოვლად დაუშვებელი კითხვების მიცემა: სასამართლოს თავმჯდომარე **ბიუნგერი** უხეშად აწყვეტინებს სიტყვას დიმიტროვს. ამის საპასუხოდ დიმიტროვი აცხადებს: «ამ პროცესზე მე ვარ არა მოვალე, არამედ კრედიტორი, ამიტომ“... თავმჯდომარე „მე თქვენ გართმევთ სიტყვას“. დიმიტროვი გადაჭრით პროტესტს აცხადებს.

შემდეგ სასამართლო მთელ რიგ კითხვებს აძლევს ვან-დერ-ლუბეს, იგი გაურბის პასუხის მიცემას გასაგები ფრაზებით, რათა არაფერი წამოცდეს ცეცხლის წაკიდების ნამდვილი სურათის შესახებ.

თავმჯდომარის მხრივ ვან-დერ-ლუბესთან კითხვა-პასუხობანას ხანგრძლივი თამაშის შემდეგ, თავმჯდომარე უბრუნდება ძველ კითხვას:

„თქვენ მარტოდ შეძვერით რეიხსტაგის შენობაში?“.

ვან-დერ-ლუბე:—დიაღ.

თავმჯდომარე: თქვენ მარტომ წაუკიდეთ ცეცხლი რეიხსტაგს?

ვან-დერ-ლუბე:—დიაღ.

დიმიტროვი ხმამაღლა აცხადებს: „ეს შეუძლებელია, ეს სისულელეა“.

შემდეგ დაკითხვაში ერევა პროკურორი **ვერნერი.** იგი ეკითხება ვან-დერ-ლუბეს: „ხანძარი სხვების მიერ ხომ არ არის მომზადებული?“. ვან-დერ-ლუბე ამაზე უპასუხებს: „ამის თქმა არ შემიძლია“. დიმიტროვი ისვრის რეპლიკას: „ვან-დერ-ლუბეს არ უნდა აღიაროს, რომ იგი სხვების იარაღი იყო .

სასამართლოს ხვალინდელი სხდომის შემდეგ კვლავ გამოცხადდება შესვენება ერთი დღით (ადს).

დიმიტროვი კვლავ გააძევეს სხდომის დარბაზიდან

პრაგა, 11 ოქტომბერი. დღეს რეიხსტაგი, სადაც მიმდინარეობს პროცესი, ალყაშემორტყმულია პოლიციელთა გაძლიერებული რაზმით. დამსწრეებს დღეს უფრო სასტიკ კონტროლს უწევენ, ვიდრე გუშინ. როცა გამოჰყავთ ბრალდებულნი, ყურადღებას იპყრობს ის, რომ ვან-დერ-ლუბე, წარსულ დღეებისაგან განსხვავებით, სუფთათ დავარცხნილი და ჩაცმულია, თითქოს რაღაც განსაკუთრებით საზეიმო დღისათვის. თავმჯდომარე აცხადებს, რომ ხვალ საღამოთი რეიხსტაგის შენობაში ჩატარდება ცეცხლისწაკიდების საღამოს მომხდარი ამბების რეკონსტრუქცია. ამასთან დაკავშირებით, დიმიტროვს უნდა მისცეს კითხვა, მაგრამ თავმჯდომარე სრულიად უსაფუძვლოდ ართმევს მას სიტყვას. დიმიტროვი გადაჭრით პროტესტს აცხადებს ამის წინააღმდეგ და ამბობს: „ჩვენ ვართ არა მარტო ბრალდებულნი, არამედ დამცველებიც“. სასამართლოს შემადგენლობა დგება და მიდის სათათბიროდ და რამდენიმე წუთის შემდეგ თავმჯდომარე აქვეყნებს გადაწყვეტილებას: „თავმჯდომარის განკარგულებებისადმი განმეორებით დაუმორჩილებლობისათვის დიმიტროვი გაძევებულ უნდა იქნას სასამართლოს სხდომის დარბაზიდან. წაიყვანეთ იგი საპატიმროში“. დიმიტროვი აღელვებულია და გადაჭრით პროტესტს აცხადებს, მაგრამ იგი ძალით გაჰყავთ დარბაზიდან. როგორც ჩანს, თავმჯდომარემ დღეს ტყუილად კი არ გასწია პროვოკაცია დიმიტროვის გამოსარიცხად, როცა დაკითხულ უნდა იქნას ბრალდების მთელი რიგი მნიშვნელოვანი „მოწმეები“, და როცა, ვან-დერ-ლუბეს გარეგანი შეხედულების მიხედვით, სასამართლოს, ალბად, იმედი აქვს, რომ იგი ვან-დერ-ლუბესაგან დღეს მიიღებს უფრო ხელსაყრელ ჩვენებებს, ვიდრე აქამდის.

დიმიტროვი დაკითხვის მამოძრავებელი ძალაა

„პრაგერ ტაგებლატის“ ბერლინელი კორესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სწორედ გუშინ **დიმიტროვი** წარმოადგენდა დაკითხვის მამოძრავებელ ძალას, რომ მან პირდაპირ «ჩინებული დაკითხვა გაუმართა მოწმეებს“, და ამიტომ მწვავე შეტაკება ჰქონდა სასამართლოს თავმჯდომარე **ბიუნგერთან.** ამ ნაციონალ-სოციალისტების თანამგრძნობი გაზეთის ბერლინელი კორესპონდენტი იძულებულია აღნიშნოს გუშინდელ „მოწმეთა“ „უცნაურობანი“. კორესპონდენტი სწერს: „როგორც პირველ მოწმეთა ჩვენებებიდან სჩანს, ჯერ კიდევ ცდილობენ დაიცვან ვერსია, თითქოს ვან-დერ-ლუბემ მარტომ წაუკიდა ცეცხლი რეიხსტაგს, თუმცა ექსპერტები ამას შეუძლებლად სთვლიან. მოწმეებიც რაღაც უცნაური არიან, განსაკუთრებით სტუდენტი, რომელმაც რეიხსტაგის პირველ სართულში სრულ სიბნელეში ისე ნათლად დაინახა ცეცხლისწამკიდებელი, რომ დაწვრილებით აღწერს მას. უცნაურია აგრეთვე პოლიციელი, რომელიც, მისი ჩვენების მიხედვით, რეიხსტაგში კი არ შევარდა, არამედ შენობის გასწვრივ მისდევდა ჩირაღდანს. ვან-დერ-ლუბეს დაჭერა შეიძლებოდა მისი ფანჯარაში დანახვიდან 3—5 წუთის შემდეგ. მაგრამ, როგორც ჩანს, ყველა იქცეოდა არა ისე, როგორც ბუნებრივად უნდა მოქცეულიყო, და ამიტომ რეიხსტაგი იწვოდა. (ადს).

უცხოელი ვექილების პროტესტი

პრაღა, 12 ოქტომბერი. სასამართლოს დარბაზიდან დიმიტროვის კვლავ გაყვანასთან დაკავშირებით, პროცესზე მყოფმა უცხოელმა ვექილებმა თავმჯდომარეს გაუგზავნეს პროტესტი მოპყრობის იმ მეთოდების წინააღმდეგ, რომლებსაც დიმიტროვის, პოპოვის და ტანევის მიმართ იყენებენ. ტანევს და პოპოვს არ შეუძლიათ პროცესის მსვლელობას თვალყური ადევნონ, ვინაიდან მათ გერმანული ენა არ იციან, და პროცესზე მომხდარს მხოლოდ ოფიციალური თარჯიმანებისაგან გებულობენ. სამივე ბულგარელი რევოლუციონერი მოკლებულია დამცველთა არჩევის უფლებას. უცხოელი ვექილები განსაკუთრებით პროტესტს აცხადებენ სასამართლოს დარბაზიდან დიმიტროვის გაყვანის წინააღმდეგ, რადგან დიმიტროვს დამცველი არა ყავს და ის თითონ იცავს თავს. პროტესტში ნათქვამია: „კიდეც რომ დავუშვათ შესაძლებლობა, რომ ბრალდებული ბულგარელები დამნაშავეებად იქნებიან მიჩნეული, მაინც მსოფლიოს ვერ დაარწმუნებენ იმაში, რომ გერმანიის მართლმსაჯულობა ობიექტიური და არა პარტიულია“. (ადს).

ბრალმდებელთა მორიგი მარცხი

პრაღა, 12 ოქტომბერი. ბრალმდებელთა მორიგ მარცხს წარმოადგენს სახანძრო ექსპერტ იოსეს დიალოგი მოწმე **ლატეიტთან.**

იოსე მიმართავს მოწმეს:—როდის დაინახეთ თქვენ ცეცხლი რეიხსტაგის გუმბათში?

ლატეიტი: როცა ვბრუნდებოდი რეიხსტაგში საპოლიციო უბანში ვან-დერ-ლუბესთან ლაპარაკის შემდეგ გუმბათში ჯერ კიდევ არ იყო ცეცხლი. გუმბათში ცეცხლის გაჩენის შესახებ გვიან მითხრეს, ამიტომ გამიკვირდა, სულ ცოტა ხნის წინათ სხდომის დარბაზი ხომ თითქმის ხელუხლებელი ვნახე“.

მეორე სახანძრო ექსპერტის ვაგნერის შეკითხვაზე—ფიქრობს თუ არა მოწმე, რომ მეხანძრეებს ადვილად შეეძლოთ პლენარული სხდომების დარბაზის გადარჩენა, ლატეიტი, ალბათ, დაუფიქრებლად უპასუხებს —„კი“.

მაშასადამე, ვიღაცამ შეუშალა ხელი მეხანძრეებს გადაერჩინათ დარბაზი, რომელსაც პოლიციის და მეხანძრეთა მისვლის მომენტისათვის თითქმის სრულიად არ ჰქონდა მოდებული ცეცხლი და რომელიც, ოფიციალური ცნობის და ფოტოგრაფიულ სურათების მიხედვით, მთლიანად დაიწვა.

პროკურორი ვაგნერი ლატეიტის დახმარებით ცდილობს უარყოს ხანძრის შემდეგ ყველა გაზეთში გამოქვეყნებული ფაქტი, რომ ხანძრის ადგილას იყო მოიერიშეთა დიდი რიცხვი. ამ მიზნით, პროკურორი უხეში მანიშნებელი ფორმით ეკითხება ლატეიტს: „მართალია თუ არა, როგორც ამას ამტკიცებენ, რომ ხანძრის გაჩენის მომენტში ადგილზე უკვე იყვნენ მოიერიშეები?“ პოლიციელი, რასაკვირველია, უარყოფს ამას და ადასტურებს, რომ რეიხსტაგის უდიდეს მოედანს, თითქოს, ალყა შემოარტყეს მისი უბნის, პოლიციელებმა.

შემდეგ თავმჯდომარე მიმართავს ვან-დერ-ლუბეს:—გსურთ თუ არა განაცხადოთ რამე ლატეიტის ჩვენების გამო

ვან-დერ-ლუბე:—არა.

თავმჯდომარე:—ეს ჩვენება სწორია?

ვან-დერ-ლუბე:—ამის თქმა მე არ შემიძლია.

ვოლფის სააგენტოს ცნობების მიხედვით, ვან-დერ-ლუბეს საქციელი უფრო და უფრო უცნაური ხდება. ცნობაში ნათქვამია, რომ ვან-დერ-ლუბე მუდამ თავჩაქინდრული ზის. დამცველი დროგამოშვებით ხოცავს მას ცხვირს, ვინაიდან იგი არ იხოცავს ცხვირს მაშინაც კი, როცა მას ცხვირსახოცს აწოდებენ. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა მოვიგონოთ ჩვენება მედიცინის ექსპერტ ლეპეუსისა, რომელიც, ისე როგორც სხვა მოწმეები, ამბობდა, რომ ვან-დერ-ლუბე დაპატიმრების შემდეგ იყო ენერგიული. აქტიური და ხალისიანად ლაპარაკობდა.

შემდეგი სხდომა შესდგება 13 ოქტომ., 12 ოქტ. საღ., ტარდება მხოლოდ იმ ამბის რეკონსტრუქცია, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ხანძრის გაჩენის წინა დღით. სასამართლოს სპეციალური გადაწყვეტილებით ამ პროცედურის დროს დიმიტროვი არ იქნება დაშვებული (ადს).

გამოხმაურება იაპონიაში

საკ. დეპეშათა სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული მამხილებელ დოკუმენტებზე

ტოკიო, 10 ოქტომბერი. ყველა გაზეთი ამა თუ იმ ფორმით მოყავს საგარეო საქმეთა და სამხედრო სამინისტროების წარმომადგენელთა მტკიცება იმის შესახებ, რომ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები არ არის ნამდვილი და რომ მათი გამოქვეყნება წარმოადგენს „საერთაშორისო „ნდობის“ დარღვევას“. გაზეთები აღნიშნავენ, რომ სამხედრო სამინისტროში „განსაკუთრებით არიან აღშფოთებული“ და მოითხოვენ საბჭოთა კავშირისაგან, რათა მან უკანვე წაიღოს ეს დოკუმენტები. „იომიურ“, აქვეყნებს რა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობას, ათავსებს ინფორმაციას სამხედრო და საზღვაო სამინისტროების მოხელეთა კომენტარიების შესახებ. გაზეთი აცხადებს: „აუცილებელი ხდება არა მარტო ის, გაძევებული იქნას იაპონიიდან საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ტოკიოს განყოფილება, არამედ საჭიროა ხელი შევუშალოთ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გაყიდვის შესახებ მოწვეულ კონფერენციის მუშაობასაც“. (ადს).

ტოკიო, 11 ოქტომბერი „ნიჩი-ნიჩი“ წერს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელეები მოლაპარაკებას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის შესახებ არ უკავშირებენ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს მოქმედებით გამოწვეულ ინციდენტს და იმედი აქვთ, რომ მოლაპარაკება გაგრძელდება.

„მიაკო“ იუწყება, რომ თუმცა საბჭოთა მხარე აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის შესახებ წარმოებულ მოლაპარაკებას უკავშირებს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საბჭოთა მოსამსახურეების დაპატიმრებას, რაც ამას წინათ მოხდა. მაგრამ მანჯოუგოს განზრახული აქვს განაგრძოს მოლაპარაკება დაპატიმრებათა საქმისაგან დამოუკიდებლად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მდგომარეობა არ გართულდა.

გაზეთი «ასახი“, მხარს უჭერს რა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის შესახებ წარმოებული მოლაპარაკების გაგრძელებას, წერს: „საბჭოთა მთავრობა ატარებს ოსტატურ პოლიტიკას“ (ადს).

ტოკიო, 11 ოქტომბერი. შეეხო რა გაზეთების ცნობას იმის შესახებ, რომ **ხიროტამ** იაპონიის ელჩს მოსკოვში **ოტას** უკვე გაუგზავნა ინსტრუქცია წინადადებით განაცხადოს პროტესტი, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა დღეს უცხოეთის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს უარყო ეს ცნობა და განაცხადა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს, დოკუმენტების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, არ მიუღია საბჭოთა კავშირის მიმართ არავითარი გადაწყვეტილება.

შეეხო რა ცნობას იმის შესახებ, რომ იაპონიის წრეებში მოითხოვენ, რათა იაპონიის მთავრობამ მოსთხოვოს საბჭოთა მთავრობას უკანვე წაიღოს გამოქვეყნებული დოკუმენტები, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს არის პირადი აზრი და რომ სამხედრო წრეებს ჯერ კიდევ არ მიუღიათ ოფიციალური გადაწყვეტილება. საგარეო საქმეთა სამინისტროს საბოლოო აზრი იმის შესახებ, თუ რა ფორმით გასცეს პასუხი დოკუმენტების გამოქვეყნებას, შემუშავდება უახლოეს დღეებში და შეთანხმებული იქნება სამხედრო სამინისტროსთან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში—მინისტრთა საბჭოსთანაც.

ტოკიო, 11 ოქტომბერი. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმბიუროს უფროსმა დღეს დილით მოიწვია საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი და ჰკითხა მას, თუ რა წესით დაეგზავნა ინფორმაცია იაპონურ გაზეთებს დოკუმენტების შესახებ და იცოდა თუ არა მან, რომ სიმბუნ რენგოს სააგენტო ამ დოკუმენტების გამოქვეყნების წინააღმდეგია. საკ. დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა აღნიშნა, რომ ინფორმაცია დაიგზავნა იმ წესით, როგორიც შემოღებული იყო მთელი რიგი წლების მანძილზე იმ შემთხვევებში, როცა სიმბუნ რენგოს სააგენტო საკ. დეპეშათა სააგენტოს ცნობებს არ ღებულობდა, სახელდობრ — ინფორმაცია დაგზავნილ იქნა დახურული კონვერტებით გაზეთების მთავარი რედაქტორების სახელზე შენიშვნით: კონფიდენციალურად (ადს).

შენიშვნა: გაზეთებისათვის მასალების დაგზავნის ის წესი, რომელიც ამ შემთხვევაში საკ. დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის მიერ იქნა გამოყენებული, ზუსტად შეესაბამება ჩვეულებრივ პრაქტიკას, რასაც ანალოგიურ მდგომარეობაში ყოველთვის მიმართავდენ, და მთლიანად გათვალისწინებულია საკ. დეპეშათა სააგენტოს და სიმბუნ რენგოს სააგენტოს შორის არსებული ხელშეკრულებით (ადს).

ალმ. ჩინეთის რკ. გზის მმართველმა ამხ. რუდიმ გააუქმა მანჯოუგელი თანაშემწის უკანონო განკარგულება

ხაბაროვსკი, 11 ოქტომბერი. პოლიცია სადგ. მანჯურიაში განაგრძობს თვითნებობას და შლის გზის ნორმალურ მუშაობას. 10 ოქტომბერს მან სრულიად უმიზეზოდ დააპატიმრა სადგ. მანჯურიას დეპოს უფროსი ამხ. ლევიცკი, რომელიც მცველების თანხლებით მიიყვანეს ბუხედუს სადგურში. ბუხედუს სადგურში პოლიციამ დააპატიმრა აგრეთვე წევის უბნის უფროსის თანაშემწე საბჭოთა მოქალაქე კრილოვი. ამ მოქმედებებით პოლიცია ცდილობს ჩამოაშოროს პასუხისმგებელი საბჭოთა აგენტები მათ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებას და ამ უბნის მმართველობა მთლიანად მანჯურელ წარმომადგენლებს გადასცეს.

ამასთანავე ერთად აღმო. ჩინეთის რკინის გზის მმართველის მანჯურელმა თანაშემწემ, ჩან მინ-ჯემ, გააუქმა საბჭოთა თანაშემწის ამხ. ტოლსტოვის განკარგულება დეპო მანჯურიას უფროსის თანამდებობაზე ლევიცკის დანიშვნის შესახებ, დანიშნა მანჯურელ ხელისუფალთა მიერ წამოყენებული კაცი. აღმოსავლეთ-ჩინ. რკინის გზის მმართველმა ამხ. რუდიმ გააუქმა თავისი მანჯურელი თანაშემწის ეს უკანონო განკარგულება და გზის გამგეობაში შეიტანა მოხსენება, სადაც აღნიშნავს ჩან მინ-ჯანის უკანონო მოქმედებას, რაც არღვევს დისციპლინას და შლის მუშაობას, და თხოვს გზის გამგეობას მიიღოს აუცილებელი ზომები. ამავე დროს ამხ. რუდი ითხოვს, რომ გამგეობამ მიიღოს ზომები საქმეში პოლიციის ჩარევის აღკვეთისა და გზის ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფისათვის (ადს).

პარაშუტით ხანგრძლივი გადმოხტომის მსოფლიო რეკორდი

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. 10 ოქტომბერს მუშურ - გლეხური წითელი არმიის სამხედრო - საჰაერო ძალების სამმართველოს სამეცნიერო - საცდელი ინსტიტუტის უფროსმა მფრინავმა **ამხ. ვ. ნ. ევსეევმა** დაამყარა პარაშუტით ხანგრძლივი გადმოხტომის მსოფლიო რეკორდი. ის თვითმფრინავიდან გადმოხტა 7.200 მეტრის სიმაღლეზე, 132,5 წამის ფრენით განვლო 7.050 მეტრი, და თავისი პარაშუტი მხოლოდ 150 მეტრის სიმაღლეზე გაშალა. ამგვარად, დამყარებულია პარაშუტით გადმოხტომის მსოფლიო რეკორდი, რომელიც ბევრად აღემატება ევროპულ და ამერიკულ რეკორდებს.

მუშურ - გლეხური წითელი არმიის სამხედრო - საჰაერო ძალების სამმართველოს სამეცნიერო - საცდელი ინსტიტუტის უფროსი მფრინავი ვ. ნ. ევსეევი დაიბადა შორეულ აღმოსავლეთში, ქ. ბლაგოვეშჩენსკში, სადაც მისი მამა პეტერბურგის ქარხნების ხარატი, ნაროდოვოლეცი, გადასახლებული იყო პოლიციის აგენტის მკვლელობასთან დაკავშირებით. ამხ. ევსეევი 13 წლის ბავში იყო, როცა დაიწყო მუშაობა ჯერ მეჯაგვედ, ხოლო შემდეგ მოჯამაგირედ აბურსკის კულაკ ხაბაროვთან. 1922 წელს ის მუშაობს ბლაგოვეშჩენსკის ელექტროსადგურში, სადაც ღებულობს ზეინკლის კვალიფიკაციას. ამხ. ევსეევი 1922 წელს შედის კომკავშირში, ხოლო 1924 წელს—პარტიაში.

ჩამოხტომის შემდეგ მფრინავი თავს კარგად გრძნობდა. „მე მზად ვიყავი მაშინათვე თვითმფრინავის საჭესთან დავმჯდარიყავ“, — ამბობს ის. „მუშურ - გლეხური წითელი არმიის სამხედრო - საჰაერო ძალების სამმართველოს სამეცნიერო - საცდელი ინსტიტუტის უფროსი მფრინავი საუკეთესო მფრინავი და პარაშუტისტია“ — აცხადებს ხსენებული ინსტიტუტის პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. კალი. თავის საფრენოსნო მუშაობაში ის განსაკუთრებულ გაბედულობას, სიმტკიცეს და გამჭრიახობას იჩენს. თავის სიცოცხლეში ის დაახლოვებით 30-ჯერ გადმომხტარა. მან იშვიათი შეუპოვრობა გამოიჩინა ამ გადმოხტომისათვის მზადებაში, რითაც მან ხანგრძლივობის მხრივ მსოფლიო და სიმაღლის მხრივ საკავშირო რეკორდი დაამყარა. (ადს).

მარგანეცი

ჭიათურა, 13 ოქტომბერი. 12 ოქტომბერს ჭიათურის მაღაროებში უნდა ამოეღოთ 4.323 ტონა მარგანეცი, ფაქტიურად ამოიღეს 3.314 ტონა, გეგმის 76,6 პროც.

უნდა გაერეცხათ 2374 ტონა მარგანეცი, გარეცხეს 1.804 ტონა, რაც უდრის დავალების 75,9 პროცენტს.

დღეს, ოქტომბრის 14-ს, საღამოს 7 საათზე შესდგება

სს ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

სს ცაკის პრეზიდიუმის ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა

სს ცაკის მდივანი— თ. ჟღენტი

რკინისგზის ტრანსპორტმა უნდა იმუშაოს საათის მექანიზმივით

სავაგონო მეურნეობის გაჯანსაღება— საბრძოლო ამოცანაა

ვაგონების განადგურებასთან ბრძოლის შესახებ

სადგურებზე და ქარხნებში განტვირთვის დროს ფართოდ არის გავრცელებული ვაგონების დანგრევის პრაქტიკა — იატაკების ამომტვრევა, ვაგონის ნაწილების მოგლეჯა და სხვ. ამის შესახებ „პრავდაც" სწერს 8 ოქტომბრის ნომერში მოთავსებულია კორესპონდენცია „ვაგონების გამანადგურებლები მაკეევკიდან და დნეპროპეტროვსკიდან".

დამნაშავენი ამ მავნებლობაში ჯერ კიდევ არ არიან დასჯილი, მაშინ, როდესაც მათ და მათი ადმინისტრაციის წინააღმდეგ მთელი თავისი სისასტიკით უნდა იქნეს გამოყენებული კანონი სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ.

პოლიტგანყოფილებებმა პროკურატურასა და სასამართლოს ორგანოებთან ერთად უნდა აიღონ თავიანთ თავზე ინიციატივა და მთელ პროლეტარულ საზოგადოებრიობაზე დამყარებით სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ ასეთ მოვლენებს, სადაც არ უნდა ექნეს მათ ადგილი. არ დარჩეს არც ერთი ფაქტი დანაშაულის გამორკვევის და დამნაშავეთა დასჯის გარეშე; ამ მიმართულებით უზრუნველყოფილი იქნას შეთანხმებული მოქმედება ტერიტორიულ პარტორგანიზაციებთან და სამეურნეო ორგანოებთან.

მორიგ პოლიტდასმენებში შეაცნობეთ ჩატარებული მუშაობისა და მისი შედეგების შესახებ.

გზათა სახ. კომისარიატის პოლიტსამმართველოს უფროსი და სახკომისრის მოადგილე **პოლონსკი.**

აი როგორ ამზადებენ კადრებს ავტობლოკირებისათვის

რკინისგზებზე ავტობლოკირების გატარება, უდიდეს როლს თამაშობს მატარებლების მოძრაობის დაჩქარებაში.

გზათა სახალხო კომისარიატის და ამიერკავკასიის პარტიული ორგანოების მითითებით, ავტობლოკირების გატარების უკანასკნელ ვადათ ნავთლუღ-აქსტაფის უბანზე დაწესებული იყო ა. წ. პირველი ივლისი.

მაგრამ ნავთლუღ-აქსტაფის უბანზე დღესაც არაა დაწყებული ავტობლოკირების ექსპლოატაცია. რა არის ამის მიზეზი? როგორც ცნობილია, ავტობლოკირება წარმოადგენს ახალ საქმეს. მისი რთული აგებულების გამო, ინჟინერ-ტექნიკოსთა ძალები მართვის დროს ხშირად შედიან შეცდომაში. ნავთლუღ-აქსტაფის უბანზე ამ დარგში დღემდე მუშაობენ ტექნიკურად არასაკმაოდ მომზადებული ძალები (ელექტრო მანტიორები. ელექტრომექანიკები და სხ.). ისინი ვერ ასრულებენ მოვალეობას, რაც იწვევს ავტობლოკირების გეგმების შეუსრულებლობას. გზათა სახალხო კომისარიატს განზრახული ქონდა ავტობლოკირების ტექნიკის ათვისების მიზნით სპეციალური კადრების მომზადება, რისთვისაც ამხ. შ. ელიავას სახ. პოლიტექნიკუმში 1931 წელს შემოიღეს ავტობლოკირების დარგი. აღნიშნულ დარგზე მიღებული იქნა 35 მსმენელი, რომელთაგან დღეს მხოლოდ 20 კაცი განაგრძობს სწავლას.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის დირექციის განკარგულებით [illegible] 20 მსმენელი გაგზავნილ იქნა ავტობლოკირების უბნებზე. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ისინი გამოიყენა შავ მუშებად. ისინი ეზიდებოდნენ ბოძებს, მავთულებსა და ტრანსფორმატორებს, თხრიდენ ორმოებს და სხ. პრაქტიკანტების არასწორად გამოყენების შესახებ დროზე ეცნობა ტექნიკუმის დირექციას, რომელმაც ხელშეკრულება დასდო უბნის უფროს ამხ. ხელაიასთან და ავტობლოკირების მშენებლობის უფროს ინჟინერ მენშიხთან იმის შესახებ, რომ მომავალში ადგილი არ ქონოდა პრაქტიკანტების არასწორად გამოყენებას, რომ პრაქტიკანტებისათვის მიეცათ თეორიული ცოდნა ავტობლოკირების საგნებში. მაგრამ ვერც აქედან მივიღეთ სასურველი შედეგი. ავტობლოკირების სამუშაოთა ადმინისტრაციამ არ შეასრულა ხელშეკრულება.

კურსის დამთავრებამდე მხოლოდ სამი თვე დარჩა. 1934 წლის იანვარში პოლიტექნიკუმმა უნდა გამოუშვას ავტობლოკირების ტექნიკოსები და ეს იმ დროს, როცა კურსზე ავტობლოკირების სპეციალური საგნების არც ერთი ლექცია არ წაკითხულა. ამ საგნის სპეციალისტები რკ. გზის დირექციაში მუშაობენ და ლექციების წაკითხვას ვერ ახერხებენ. მაგ. ლექტორი ბოლდოვი დღემდე მივლინებაში იმყოფება,

ავტობლოკირების კადრების მომზადება საფრთხეშია. საჭიროა ამ მიმართულებით სათანადო ზომების მიღება.

ტექნიკუმის მსმენელები: **ბ. დუნდუა. გ. მშვიდობაძე, [illegible]**

გავაუმჯობესოთ ვაგონების რემონტის ხარისხი

(ტფილისის სავაგონო-სარემონტო ქარხანა)

გზათა სახალხო კომისარიატის ბრიგადამ აღნიშნული კომისარიატის კოლეგიის წევრის ამხ. არნოლდოვის ხელმძღვანელობით გამოიკვლია რემონტის მდგომარეობა; ბერიას სახელობის სავაგონო - სარემონტო ქარხანაში, რომელიც სტალინის სახელობის სარემონტო ქარხნიდან გამოყოფილია დამოუკიდებელ მეურნეობად.

გამოკვლევის შედეგად ბრიგადა, ასე ახასიათებს ვაგონების რემონტის მდგომარეობას: ქარხანას არ ჰყავს ბატონ - პატრონი. ქარხანაში აშკარად საბოტაჟს უწევენ სავაგონო მეურნეობის გამოყოფის შესახებ; ც. კ-ის და სახკომსაბჭოს დადგენილების ბოლომდის გატარებას; გზათა სახალხო კომისარიატმა ჯერ კიდევ 8 აგვისტოს გამოსცა ბრძანება საორთქლმავლო და სავაგონო ნაწილებს შორის ქონების გაყოფის შესახებ. მაგრამ უკანასკნელ დრომდე ეს განკარგულება არ შესრულებულა. მას გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა ქარხნის საორთქლმავლო ნაწილი. ახალი ქარხნის ადმინისტრაციამ კი სათანადო დაჟინება ვერ გამოიჩინა ისეთი ტექნიკური ბაზის შექმნისთვის, რომელიც უზრუნველყოფს ვაგონების რემონტის პროგრამის ზუსტად შესრულებას. მექანიკური და სამჭედლო საამქროს გარეშე ახალი ქარხნის მუშაობა წარმოუდგენელია. ამ საამქროების გამოყოფის და გადაცემის შესახებ დავა კი აქამდის გრძელდება და არ არის გადაჭრილი. ქარხნის ნაყოფიერება ეცემა, გამოშვების პროგრამა ივლისში შესრულდა 84 პროცენტით, აგვისტოში 77 პროცენტით, სექტემბერში 83 პროცენტით.

მუშაობის პირობები ქარხანაში მეტად არადამაკმაყოფილებელია. ლიანდაგი, ლიანდაგშორის და მთელი დანარჩენი ტერიტორია გაბინძურებულია. ქარხნის მთელ ტერიტორია აზე ყრია რემონტისთვის ფრიად სა[illegible] ქანჩები, ფიცრები, ისეთ რაოდენობით, რომ ძნელია ვაგონთან მისვლა.

შრომის ორგანიზაცია ძალიან ცუდია. ადმინისტრაციამ, რომელიც მისდევს რიცხობრივ მაჩვენებლებს, ძალიან გააფართოვა რემონტის ფარგლები; მუშა - ხელით მუშაობის უზრუნველყოფაზე კი არავინ ზრუნავს. ამის შედეგად, ვაგონებს უშვებენ დაუმთავრებელი ნაწილებით.

1 სექტემბრიდან საკონვენციო რემონტის ნაცვლად ქარხანაში შემოღებულ იქნა საკონტროლო რემონტი სამუშაოთა ახალი დახასიათებით, სამუშაოების გაფართოებული ფარგლებით. მაგრამ ამისთვის ქარხანაში არ მომზადებულან. რემონტს დაუდევრად აწარმოებენ. ადგილზე რემონტის შემოწმებამ ცხადჰყო უხეში გადახვევები ახალ დახასიათებიდან. სავალ ნაწილებს არ სწმენდენ ტალახისაგან და ღებავენ, თრევის ჩარჩოებს არ ასწორებენ, სწორად არ ახდენენ წევსაბმელების გამოცდას, ტალახისაგან გასაწმენდად მიღებულია ლითონის ნაწილების გამოწვა, რის გამოც ფუჭდება ლითონი და სხვ.

კიდევ უფრო ცუდად სწარმოებს სამგზავრო ვაგონების რემონტი. ბრიგადამ სამგზავრო ვაგონებში აღმოაჩინა მრავალი დეფექტი.

მთელი ეს უმსგავსოება ყველას თვალწინ ხდება. ინჟინერები და ოსტატები გვერდს უვლიან მას და არავითარ ღონისძიებას არ ხმარობენ. ბუნებრივია, რომ დაუდევრობამ და, უთაურობამ ქარხანაში ფართო ხასიათი მიიღო. უფროსები, ოსტატები, ბრიგადირები არ იყენებენ თავიანთ უფლებებს, არ იბრძვიან პროგრამის შესრულებისათვის, რემონტის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

მუშაობისადმი ასეთი დაუდევარი დამოკიდებულება გზათა სახალხო კომისარიატის ბრიგადას მიაჩნია ადმინისტრაციის მხრით აშკარა საბოტაჟის ერთერთ ფორმად. მიუხედავად იმისა, რომ ქარხანა სავსებით უზრუნველყოფილია კვალიფიციური მუშა - ხელით და ძირითადი მასალებით, ადმინისტრაციას აქამდის არ მიუღია ნამდვილი ზომები, რათა გაედიდებინა ქარხანაში შრომის ნაყოფიერება და მოეწესრიგებია შრომა ისე, რომ სათანადოდ გაეუმჯობესებინა რემონტის ხარისხი.

ასე არ შეიძლება გაგრძელდეს. ქარხანამ უნდა გარდაქმნას მუშაობა უახლოეს დროში და აღმოფხვრას გარღვევა, გაადიდოს მუშაობის რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები **(ალხ).**

ახლად მიღებულ ელექტრომავალთა მონტაჟი მთავრდება

სტალინისი, 12 ოქტომბერი. სტალინისის ელმავალთა დეპოში დაჩქარებული ტემპებით სწარმოებს იტალიიდან ახლად მიღებულ ელექტრომავალთა მონტაჟი. მუშაობა იმ ანგარიშითაა გაშლილი, რომ მონტაჟი დამთავრდეს 20 ოქტომბრისათვის, რის შემდეგ მოხდება ელექტრომავალთა გამოცდა სურამის უღელტეხილზე.

ტფილისის სავაგონო დეპო. ამხ. თევზაძის ბრიგადა მოწინავეა. სურათზე— ბრიგადის წევრები ამხ. ბოლაიანი, ანანოვი და ჯინჭარაძე ვაგონის რემონტზე.

როდის გამოვლენ ტყიბულელები გარღვევიდან?

(ტყიბული საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ტყიბულში კვლავ გრძელდება სამარცხვინო ჩამორჩენა, რომელიც ყველაზე მეტად საგრძნობი განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებშია. მაღაროების პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა და ტრესტმა ვერ გაშალეს ბოლშევიკური ბრძოლა ჩამორჩენის გამოსწორებისათვის. მესამე კვარტალში გეგმით გათვალისწინებული იყო 105.000 ტონა ქვანახშირის ამოღება. აქედან ლენინის სახელობის უბანს უნდა ამოეღო 38.240 ტონა, სტალინის უბანს — 51.650 ტონა და თიხნარის უბანს — 15.110 ტონა. **ფაქტიურად სამივე უბანში ამოღებულია მხოლოდ 39.167 ტონა, რაც კვარტალური გეგმის 37,3 პროცენტს შეადგენს.**

ლენინის უბანმა ამოიღო 11.745 ტონა, მიცემული გეგმის 30,7 პროცენტი, **სტალინის** უბანმა — 23.769 ტონა, გეგმის 46 პროცენტი, ხოლო **თიხნარის** უბანი ყველაზე მეტად ჩამორჩა, მან ამოიღო 3.653 ტონა, ანუ გეგმის 24,2 პროცენტი.

ჩამორჩენის მიზეზი კვლავ მუშაობის მოუწესრიგებლობაში მდგომარეობს. მაღაროების ტრესტი კიდევ ვერ უწევს კონკრეტულ - ოპერატიულ ხელმძღვანელობას უბნებს, ცვლებს და ბრიგადებს. პარტიული მუშაობის სიმძიმის ცენტრი ჯერ კიდევ არაა გადატანილი ძირეულ სამუშაოებზე. სუსტია მუშაობა პარტორგანიზატორების შორის, რის გამო სუსტია აგრეთვე პარტორგანიზატორების ავანგარდული როლი საწ. - საფ. გეგმის შესრულებაში (ბ. გოჩელაშვილის და სხვ. ბრიგადები)

პროფორგანიზაციამ ვერ შესძლო ცოცხალი ხელმძღვანელობის გაწევით გამოეცოცხლებია მაღარკომების მუშაობა. პროფმასობრივი მუშაობა უბნებში თვითდინებაზეა დაყრდნობილი. მაღარკომებში შერჩეული არ არის სათანადო კადრები (ლენინის უბნის მაღარკომი). ეს მდგომარეობა იწვევს პროფესიული ორგანიზაციების მუშაობის მოდუნებას მაღაროებში. მაღარკომმა არ იცის რამდენი დამკვრელია მაღაროებში, ან რამდენი ბრიგადაა ჩაბმული სოცშეჯიბრებაში. ამის ცნობებს „დაახლოებით" იღებენ და არ ცდილობენ მოახდინონ ზუსტი აღრიცხვა. ხშირად ბრიგადები იწვევენ ერთმანეთს შეჯიბრებაში, მაგრამ მათ გამოწვევას შემდეგ არავინ აფორმებს, და არც ვინმე იწუხებს თავს იმის შესამოწმებლად, თუ ვინ გაიმარჯვა სოცშეჯიბრებაში. მაგ: ამ ორი თვის წინად ი. ცეცხლაძის ბრიგადამ შეჯიბრებაში გამოიწვია შ. დარსაძის ბრიგადა. მაღარკომმა, იმის ნაცვლად, რომ სათავეში ჩასდგომოდა ამ საქმეს და თვითონ მოეწყო შეჯიბრება, ბრიგადების ხელშეკრულებაც კი არ გააფორმა.

უბნების სუსტი ხელმძღვანელობითა და ბრიგადებისათვის დახმარების გაუწევლობით უნდა აიხსნას ის მდგომარეობა, რასაც ამჟამად ადგილი აქვს ტყიბულის მაღაროებში. **თიხნარის** უბანი, რომელიც ყველაზე მეტად არის ჩამორჩენილი, ხელმძღვანელობის დარგში ყველაზე უკან დგას. ამ უბანს როგორც მაღაროების ტრესტი, ისე პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები არავითარ ხელმძღვანელობას და დახმარებას არ უწევენ. აბა რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ უბნის მთელ რიგ საკანებში შეჩერებულია მუშაობა, რასაც იწვევს სამაგრი მასალის სიმცირე. ეს იმდროს, როდესაც ტრესტს საშუალება აქვს უბანს სამაგრი მასალა საკმაო რაოდენობით მიაწოდოს. თიხნარი განიცდის მუშის ხელის საგრძნობ სიმცირეს, აქ გეგმით გათვალისწინებული მუშათა რაოდენობის მხოლოდ 50 — 60 პროცენტი თუ მუშაობს. კადრების სექტორი კი ამ უბნის მუშა - ხელით უზრუნველყოფის პირველხარისხოვან საქმეს არ თვლის.

1933 წლის მესამე კვარტალი ცუდად ჩამორჩა 1932 წლის შესაფერის პერიოდს. მაგ; თუ გასული წლის მესამე კვარტალში მაღაროებში უნდა ამოღებულიყო 80.000 ტონა ქვანახშირი, ფაქტიურად ამოიღეს 57.711 ტონა (გეგმის 72,1 პროცენტი) ანუ 18.544 ტონით მეტი, ვინემ მიმდინარე წლის მესამე კვარტალში.

მაღაროებში მუშა-ხელის მიზიდვის და დამაგრების დარგში არაა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. თუ გეგმით მესამე კვარტალში უნდა ემუშავა 1.648 კაცს, მუშაობდა 1.033 კაცი, ანუ გეგმის 62,7 პროცენტი. მესამე კვარტალში მაღაროებში მიღებულ იქნა 1140 მუშა, მაგრამ ტრესტმა და მაღარკომმა ვერ უზრუნველყვეს ამ მუშების შენარჩუნება. ამავე კვარტალში მაღაროებიდან წასულია 1.219 მუშა ანუ მიღებულთა რიცხვზე 70 მეტი.

მუშათა დენადობის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ მოსულ მუშებს ვერ შეუქმნეს სათანადო საყოფაცხოვრებო პირობები, ვერ მისცეს მათ ბინები. მუშათა ბინებში არ ტარდება საუბრები, მოხსენებები და, საერთოდ, სუსტია კულტურული მუშაობა. მაღარკომი ამ მხრივ არ ღებულობს სათანადო ზომებს.

გასულ წელთან შედარებით სამარცხვინო ჩამორჩენაა შრომის ნაყოფიერების დარგშიც. თუ გასული წლის მესამე კვარტალში ერთ მუშას ყოველთვიურად უნდა გამოემუშავებია 15 ტონა, ქვანახშირი, ფაქტიურად გამოიმუშავა [illegible] 17,6 ტონას, ანუ გეგმის 117,4 პროცენტს. წელს შრომის ნაყოფიერება უნდა გაზრდილიყო, ვინაიდან ტყიბულის მაღაროებში ახლა მეტი ტექნიკური შესაძლებლობანი არსებობს, ვინემ გასულ წელს იყო. მაგრამ ადგილი აქვს საწინააღმდეგოს. წელს მუშა თვიურად 5 ტონით ნაკლებს იღებდა, ვინემ გასულ წელს.

შრომის ნაყოფიერების ასეთი დაცემა უმთავრესად იმას უნდა მიეწეროს, რომ მაღაროებში სათანადოდ არ არის გამოყენებული სამუშაო დრო. თითქმის სისტემატიური ხასიათი აქვს ბრიგადების მუშაობის შეფერხებას, იმის გამო, რომ მათ დროზე ვერ აწვდიან სამაგრ მასალას და სხვ.

გარდა ამისა მოუწესრიგებელია გვირაბებიდან ქვანახშირის გამოზიდვა.

რა იწვევს ქვანახშირის გამოზიდვის შეფერხებას?

ნახშირის გამოზიდვა უმთავრესად მექანიკური გაგორების საშუალებით წარმოებს. მაგრამ მას არ აქცევენ საჭირო ყურადღებას და ხშირად ერთი პატარა შემთხვევის გამო მთელი საათობით ჩერდება გამოზიდვა. მაგ; ასეთ მოვლენას ადგილი ჰქონდა სტალინის უბანში ა. წ. 2 ოქტომბერს. აქ არ შეამოწმეს ვაგონებზე მისაბმელი ბაგირები, რის გამო დაქანებულ გვირაბში გაწყდა ბაგირი და ნახშირით სავსე ვაგონები ერთიმეორეს დაეჯახნენ. ამან გამოიწვია გზის გაფუჭება და მუშაობის რამდენიმე საათით შეფერხება. ასეთი შემთხვევები ხშირია, რაც ტექნიკური ხელმძღვანელობის სუსტი მეთვალყურეობით უნდა აიხსნას.

საკანიდან მექანიზებულ გზამდე ქვანახშირის გამოტანას ცხენებით აწარმოებენ, ცხენებს კი არ უვლიან სათანადოდ, რის შედეგად ფერხდება ქვანახშირის გამოზიდვა. სისტემატიურად არ წარმოებს ვაგონების დაზეთვა (ამის საშუალება კი არის და ნაცვლად 10 — 12 ვაგონისა ცხენებს მხოლოდ 6 — 5 ვაგონი გამოაქვთ.

გვირაბებში დაგებული რკინისგზა მოძველდა. მის შეკეთებაზე ან ახალის დაგებაზე ადმინისტრაცია არ ზრუნავს და ხშირია ვაგონების ლიანდაგიდან აცდენის შემთხვევები.

უკვე მეოთხე კვარტალში შევედით. წლის დამთავრებამდე დარჩენილი დრო საკმარისია იმისათვის, რომ ტყიბულელები გამოვიდნენ სამარცხვინო გარღვევიდან. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ბოლშევიკური ბრძოლის გაშლის საფუძველზე.

გ. მერკვილაძე.

გადაჭრით გავაუმჯობესოთ რუსული ენის სწავლება

განათლების მთელი სისტემა, საბავშვო ბაღიდან დაწყებული, უნივერსიტეტით და საკვლევო - სამეცნიერო დაწესებულებებით გათავებული, ჩვენში გაეროვნებულია. მშობლიური ენა წარმოადგენს უძლიერეს იარაღს მასების ბრძოლაში ფორმით ნაციონალური, ხოლო შინაარსით სოციალისტური კულტურისათვის.

მაგრამ, ამასთან ერთად, არის სერიოზული საშიშროება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მოქცევისა მხოლოდ მშობლიური ენის ვიწრო ჩარჩოებში — ქართულის, სომხურის, თურქულის და ა. შ.

ამის მანიშნებელი ფაქტები უკვე გვაქვს: არა თუ დაწყებითი და საშუალო სკოლის მოსწავლეები, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სკოლების სტუდენტებიც არ არიან შეიარაღებული მშობლიურის გარდა (თუმცა არც აქ არის ყველაფერი რიგზე) არც ერთი სხვა ენის ცოდნით უცხო ენებს რომ თავი დავანებოთ მათ არ იციან, რუსული ენაც, ენა, რომელიც საბჭოთა კავშირში სხვადასხვა ერთა ურთიერთობის ენას წარმოადგენს და რომელზედაც უმდიდრესი პოლიტიკური, მეცნიერულ - ტექნიკური და მხატვრული ლიტერატურა არსებობს.

ჩვენი სტუდენტობა თავის სასწავლო მუშაობაში უმეტეს შემთხვევაში ვერ სარგებლობს ლიტერატურით რუსულ ენაზე და ხშირად თავის მომზადებას, და ზოგჯერ სადიპლომო შრომის დაწერასაც — საქვეო თვისების კონსპექტებზე ამყარებს.

ამის შემდეგ სავსებით გასაგებია ისეთი სამწუხარო მოვლენა, როდესაც მეცნიერი მუშაკი, რომელსაც ასპირანტურა მოსკოვშიც კი აქვს გავლილი, განსახკომის მიმართ დაწერილ განცხადებაში ასე წერს:

«Особено очен нуждаюс средствах в связи с постройкой квартиры на личном счете... Прашу вмешиваться в дело и предложить дирекцию чтобы провел меня как доцент».

ამ კაცს, უმაღლესი სასწავლებლის ლექტორს, რომელიც მეტად უცხაური მოტივით თხოულობს მისთვის მეცნიერული ხარისხის მინიჭებას, 25 სტრიქონიან განცხადებაში 35 ნაირი შეცდომა აქვს დაშვებული.

სად უნდა ვეძიოთ ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი? რატომ არის, რომ სკოლის ვერც ერთი საფეხური რამდენადმე დამაკმაყოფილებლად ვერ აიარაღებს ახალგაზრდობას ისე, რომ აზრის გამოთქმა, გაგება და რუსულ ენაზე უმდიდრესი ლიტერატურით სარგებლობა შეეძლოს?

ძირითადი მიზეზი იმაშია, რომ დაწყებითსა და საშუალო სკოლაში რუსულ ენას უმეტეს შემთხვევაში სუსტად მომზადებული კადრები ასწავლიან, უფრო მართებული იქნება ითქვას — აწვალებენ ენას და აწვალებენ მოსწავლეებს.

იშვიათი არ არის შემთხვევა, როდესაც რუსული ენა სკოლაში დამატებით საგნად არის მიჩნეული. ასპინძის რაიონში მასწავლებლები რუსული და ქართული ენების გაკვეთილებისათვის ხელფასს იღებენ, ხოლო ფაქტიურად ამ საგნების სწავლებისთვის თავს არ იწუხებენ. ამის გარდა, რუსული ენის სუსტად დაყენებაში აშკარად მჟღავნდება ამ საგნის სწავლების შეუფასებლობა ნაციონალისტურად განწყობილ ინტელიგენტების მხრით.

ბევრს ჰგონია, თითქოს ფორმით ნაციონალურის და შინაარსით სოციალისტური კულტურის შექმნა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მშობლიური ენის იქით არაფერი დავინახოთ. საკითხის ასე დაყენება რა თქმა უნდა, შოვინიზმია. ნაციონალური კულტურის განვითარება „კაცობრიობის მიერ შექმნილ ცოდნათა მთელი სიმდიდრის ათვისებას და მეხსიერებაში განმტკიცებას უნდა დაემყაროს" (ლენინი). ამისთვის ენების ცოდნაა საჭირო და პირველ რიგში, რუსული ენის ცოდნა, რომელზედაც მოცემულია უმდიდრესი ლიტერატურა პოლიტიკის, სოციალისტურ მშენებლობის, მეცნიერების ტექნიკის, ხელოვნების და სხვა დარგში.

ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საქ. კ.პ. (ბ) ცეკას 2 ოქტომბრის დადგენილება რუსული ენის სწავლების მოგვარების შესახებ დაწყებითი, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში.

ფართოდ უნდა გაიშალოს ახსნა-განმარტებითი მუშაობა მშობელთა და მოსწავლეთა შორის რუსული ენის საფუძვლიანად შესწავლის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ, რათა რუსული ენის დაუფლების ამოცანის გადაწყვეტაში, სავალდებულო გაკვეთილების გარდა, გამოყენებულ იქნეს ნებაყოფლობითი მუშაობის სხვადასხვა ფორმა, როგორიცაა: დამატებითი მეცადინეობა, წრეები, სკოლის გარეშე კითხვა, დაუსწრებელი სწავლება და სხვ. ამის გარდა, სასწავლო გეგმებში უნდა გადიდდეს რუსული ენის ხვედრითი წონა.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია—რუსული ენის მასწავლებელთა კადრების მომზადება. დღემდე არც ერთი სასწავლებელი სპეციალურად არ ემსახურება ამ ამოცანას. 12—13 წლის განმავლობაში რუსული ენის არც ერთი მასწავლებელი არ მოგვიმზადებია.

ამ მიზნით დიდი როლი უნდა ითამაშოს საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებამ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან სპეციალური ფაკულტეტის დაარსების და ტექნიკუმების ჩამოყალიბების შესახებ, სადაც სწავლება მთლიანად რუსულ ენაზე იწარმოებს და რომელნიც მოამზადებენ დაწყებითი და საშუალო სკოლებისთვის რუსული ენის მასწავლებლებს.

რუსული ენის სწავლება ჩვენს სკოლებში გადაჭრით უნდა გავაუმჯობესოთ. ამისათვის აუცილებელია ადგილებზე რუსული ენის მცოდნე კადრების უფრო რაციონალურად გამოყენება, ვიდრე დღემდე იყო. რუსული ენის სწავლება სათანადოთ მომზადებული მასწავლებლის ხელში უნდა იყოს. მომქმედი კადრების საფუძვლიანი გადამზადება გადაუდებელი ამოცანაა. ამ ღონისძიებათა გატარება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება წინ რუსული ენის სწავლების გადაჭრით გაუმჯობესების საქმეში.

გ. გოგუაძე.

გეოფიზიკური ძიება სოციალისტური მრეწველობის სამსახურში

(სამეცნიერო აკადემიის ფილიალთან გეოფიზიკური ინსტიტუტის მომავალ გახსნასთან დაკავშირებით)

მეორე ხუთწლედის ერთერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ბუნებრივ სიმდიდრეთა ყოველმხრივი დაუფლება. ს.კ.პ. (ბ) მე-16 ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გეოლოგიურ - საძიებო სამუშაოთა ტემპები წინ უნდა უსწრებდეს მრეწველობის დანარჩენ დარგთა განვითარების ტემპებს, რათა ჩვენი მრეწველობა თავის დროზე იქნეს მომარაგებული ნედლეულით. გამოყენებითი გეოლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე დედამიწის ქერქის ზედაპირის კვლევა უკვე ვეღარ აკმაყოფილებს მრეწველობის გაზრდილ მოთხოვნილებებს და საჭირო ხდება მიწის წიაღში უფრო ღრმად ჩაწვდომა. ამ ამოცანის დაძლევაში გეოლოგიური ძიების ძველ მეთოდებს ძლიერი თანაშემწე აღმოაჩნდა. ეს არის ე. წ. ძიების გეოფიზიკური მეთოდები. ამ მეთოდით მუშაობის დროს იყენებენ მთის ქანების ფიზიკურ თვისებებს (ელექტროგამტარობა, დრეკადობა, სიმკვრივე და სხვა).

გამოყენებითი გეოფიზიკის განვითარება ძირითადად ჩვენს საუკუნეს ეკუთვნის, მაგრამ მიუხედავად ასეთი მოკლე დროისა, გეოფიზიკურმა მეთოდებმა დიდი შედეგები გამოიღო, მათი განვითარება მეტად სწრაფი ტემპით წავიდა წინ. გეოფიზიკა ძალიან მალე მადნეულთა ძიების თითქმის ყველა სფეროში შეიჭრა და ყოველწლიურად თავის გამოყენების ახალ ობიექტებს იძენს.

საბჭოთა კავშირში გეოფიზიკურმა მეთოდებმა მეტად დიდი შედეგები მოგვცა. საკმარისია დავასახელოთ გრავის და სეისმოძიების გამოყენება ნავთის ბუდობების ძებნაში, ელექტრო - ძიების (კაროტაჟი) გამოყენება ნავთის საბადოების ბურღვის და ფერადი ლითონების ძიების დროს, რათა დავრწმუნდეთ იმაში, რომ გეოფიზიკურმა ძიებამ სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება და მოგვცა ძალიან დიდი საწარმოო ეფექტი.

მაგრამ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ფრონტზე ამიერ - კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში დაუშვებელ ჩამორჩენას აქვს ადგილი. საქართველოს ტერიტორია გამოყენებითი გეოფიზიკისათვის თითქმის სრულიად ხელუხლებელ ობიექტს წარმოადგენს. გეოფიზიკური ძიება წარმოებდა მხოლოდ ორიოდე ადგილას და სრულიად არადამაკმაყოფილებელი მასშტაბით. ცხადია, ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს პირობებში გეოფიზიკური მეთოდები ვერ მოგვცემენ კარგ შედეგებს. საქმე იმაშია, რომ საქართველოში შესაფერისმა სამეურნეო ორგანიზაციებმა ვერ გამოიჩინეს საკმაო ინტერესი ამ საქმისადმი და შესაძლებელია რამდენადმე უნდობლობითაც უყურებდენ გეოფიზიკურ მეთოდებს. არ შეიძლება იმის დამალვა, რომ გეოფიზიკური მეთოდები ზოგჯერ არ იძლევა დამაკმაყოფილებელ შედეგებს. მაგრამ ეს ამტკიცებს არა თვით მეთოდების უვარგისობას, არამედ მას, რომ მისი გამოყენება არაა მიზანშეწონილი აღებულ, კონკრეტულ შემთხვევაში. გეოფიზიკური ძიება უნდა წარმოებდეს მხოლოდ იქ, სადაც მას შეუძლია შესაფერისი ეფექტი მოგვცეს. თუ გვინდა, რომ ამ მეთოდების გამოყენებამ კარგი შედეგები მოგვცეს, ობიექტს უნდა მივუდგეთ ყველა მისი ინდივიდუალური თვისებების ყურადღებით შესწავლის შემდეგ.

ამიერ - კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში სხვადასხვა გეოფიზიკური მეთოდის გამოყენების შესაძლებლობის საკითხის დაუმუშავებლობა განსაზღვრავს სამეცნიერო აკადემიის ფილიალის გეოფიზიკური ინსტიტუტის ძირითად ამოცანას. ის იქნება გეოფიზიკური ძიების მეთოდიკის დამუშავება ამ.-კავკ. პირობებში.

ინსტიტუტს, ცხადია, არა აქვს იმის პრეტენზია, რომ მის ხელში მოიქცეს მთელი საწარმოო ხასიათის გეოფიზიკური ძიება. საწარმოო ძიება მას მოუხდება იმდენად, რამდენადაც ეს საჭირო იქნება ამათუიმ მეთოდურ პრობლემის გადასაჭრელად ახალ პირობებში. ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ინსტიტუტი თავის მუშაობას განსაზღვრავს მეთოდური საკითხების განყენებული დამუშავების ამოცანით, პირიქით, მეცნიერული ხასიათის დახმარება იმ სამეურნეო ორგანიზაციებისადმი, რომელნიც აწარმოებენ გეოფიზიკურ ძიებას, გეოფიზიკური სამუშაოთა დაგეგმვაში დახმარება — მისი ყოველდღიური მუშაობის საგანი იქნება.

ამიტომ ინსტიტუტს მოუხდება მეტად მჭიდრო კონტაქტის დამყარება ამიერ - კავკ. გეოლ. საძიებო ტრესტთან და ა.-კ. და საქ. მძიმე მრეწველობის სახკომთან.

სხვადასხვა გეოფიზიკური მეთოდის ამიერ - კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს პირობებში გამოყენების საკითხის შესწავლა ინსტიტუტისაგან მოითხოვს საკმაოდ დიდ მუშაობას: ამიერ - კავკასიის მეტად რთული რელიეფი და სიძნელეები, რომელნიც ამასთან დაკავშირებით იქმნებიან გრავიო ძიებისათვის და ზოგიერთი ელექტრო მეთოდისათვის, რთული ტექტონიური პირობები და მთის ქანების დიდი სხვადასხვაობა ართულებენ ამ ამოცანას. ამიტომ ინსტიტუტმა უნდა შესძლოს მთელი თავისი მუშაობა აწარმოოს შესასწავლი ობიექტის გეოლოგიური პირობების ყოველმხრივი გათვალისწინებით. გეოლოგიური მონაცემების უგულებელყოფა და შესასწავლ მოვლენათა ფიზიკით ზედმეტ გატაცებას ხშირად მოჰქონდა არა სასურველი შედეგი და გეოფიზიკური მეთოდებს სახელს უტეხდა ფართო საზოგადოებრიობის თვალში. მაშასადამე, მხოლოდ ობიექტის კომპლექსური შესწავლა, რამდენიმე გეოფიზიკური მეთოდის და გეოლოგიური მონაცემების მიხედვით, მოგვცემს სასურველ შედეგს.

როგორია ცალკე გეოფიზიკური მეთოდების განვითარების პერსპექტივები კერძოდ საქართველოს პირობებში?

შეიძლება წინდაწინვე ითქვას, რომ ყველაზე მეტი საწარმოო ეფექტი ექნება ელექტროძიებას. ელექტროძიებით შეიძლება გამოკვლეულ იქნეს ფერადი ლითონების სულფიდების თითქმის ყველა ბუდობი. ასეთ ობიექტებს წარმოადგენენ აჭარისტანის და ციხნარის (ბორჩალო) სპილენძის ბუდობები, გამადნებანი კავკასიონის სამხრეთი კალთების გასწვრივ: ძმრის ბუდობები აფხაზეთში, სვანეთის და ზემო რაჭის ტყვია-თუთიის და სხ. სულფიდები, მდიდარი პოლიმეტალური გამადნება სამხრეთ - ოსეთში, დევდორაკის და კახეთის სპილენძის ბუდობები და სხვ.

ელექტრო-ძიება კარგ შედეგებს მოგვცემს ნავთის ძიების და საინჟინერო გეოლოგიის საკითხების გადაწყვეტის დროს, არალითონიან მადნეულთა და წყალზე ძიებაში. როგორც საცდელი სამუშაო ელექტრო ძიება საჭიროა დაყენებულ იქნეს მარგანეცზე.

სეისმოძიება დიდ შედეგებს მოგვცემს გეოლოგიური სტრუქტურების და, საერთოდ, გეოლოგიური პირობების შესწავლის დროს ჯებირების და სხვა საპასუხისმგებლო ნაგებობათა მშენებლობის ადგილებზე. ის მოგვცემს აგრეთვე დიდ ეფექტს ნავთის ბუდობების ძიების დროს და ამიტომ უნდა გამოყენებულ იქნეს საქართველოს ნავთიან რაიონებში (კახეთი, გურია).

სიღრმის გეოლოგიის შესწავლის სფეროში საკმაოდ დიდი პერსპექტივები იშლება გრავიოძიებისათვის, რომელიც კარგ შედეგებს მოგვცემს აგრეთვე ნავთის ბუდობებზეც.

მაგნიტოძიებას დადებითი შედეგები ექნება ძაძის მაგნეტიტის ბუდობზეც სტალინისის რაიონში და მიკრო - მაგნიტური ძიების სახით — ჩათხის რკინის ბუდობზე. როგორც საცდელი სამუშაო, ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს შავი ზღვის სანაპიროს მაგნეტიან ქვიშებზე. მაგნიტოძიება მოგვცემს შედეგს აგრეთვე ფერადი ლითონების ძიების დროს, თუ უკანასკნელნი გვხვდებიან მაგნიტურ კოლჩედანთან ერთად.

გამოყენებითი გეოფიზიკას შეუძლია დიდი სამსახური გაუწიოს საკურორტო მშენებლობას მინერალური წყლების ძებნის და ძიების საქმეში. ამ მხრივ, დიდი პერსპექტივები იშლება სეისმოძიებისათვის, ელექტრო და რადიომეტრიისათვის.

აი, მოკლედ ძირითადი ამოცანები, რომელთა გარშემოც უნდა გაშალოს მუშაობა სამეცნიერო აკადემიის ა.-კ. ფილიალის გეოფიზიკურმა ინსტიტუტმა.

ა.-კ. გეოფიზიკური ინსტიტუტის მომავალ განხსნასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს ის დიდი ღვაწლი, რომელიც მიუძღვის ამ საქმეში სამეცნიერო აკადემიის წევრ კორესპონდენტს და სეისმოლოგიური ინსტიტუტის დირექტორს პროფ. **პ. მ. ნიკიფოროვს,** რომელიც ამ ახლო ხანში ჩამოვა ტფილისში, რათა პირადად უხელმძღვანელოს ინსტიტუტის ორგანიზაციის დიდ საქმეს.

ყველა ზემოთქმულიდან აშკარაა, რამდენად დიდი შესაძლებლობანი იშლება გეოფიზიკური მეთოდებისათვის ამიერ - კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში. ამიტომ საჭიროა ამ საკითხის გარშემო შესაბამ სამეურნეო ორგანიზაციათა ყურადღების მობილიზაცია, რათა ამ დიდ და მეტად სასარგებლო საქმეს მკვიდრი საძირკველი ჩაეყაროს.

ინჟ. ბუხნიკაშვილი.

მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება

ნავთის მრეწველობის ძირითადი რაიონების ძირეული პროფორგანიზაციების მუშაკთათვის

მოსკოვი, 11 ოქტომბერი. ნავთის მრეწველობის მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა სპეციალური გადაწყვეტილება ნავთის მრეწველობის ძირითადი რაიონების ძირეული პროფორგანიზაციების მუშაკთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ. ამ გადაწყვეტილების თანახმად, ლენინის, სტალინის და ორჯონიკიძის რაიონების (ბაქო), აგრეთვე ოქტომბრის და აპშერონის რაიონების სარეწაო კომიტეტების თავმჯდომარეები სექტემბრიდან მიიღებენ ხელფასს ნავთის რაიონების დირექტორთა მოადგილეების თანაბრად აღნიშნული პროფორგანიზაციების დანარჩენი, განთავისუფლებული არჩეული მუშაკები მიიღებენ ხელფასს საშუალოდ 100 მანეთით ნაკლებს, ვიდრე თავმჯდომარე. მირზოიანის სახელობის (ლოკ-ბატანი), აზიზბეკოვის სახელობის (კალა), არტიომის კუნძულის ნავთის ახალი სარეწაოების, აგრეთვე მთიან სარეწების რაიონის (გროზნო) პროფორგანიზაციების თავმჯდომარეები ამიერიდან თვეში მიიღებენ 350 მანეთს, ნაცვლად 250 მანეთისა, რასაც ისინი წინათ ღებულობდნენ. დასახელებული სარეწაოების დანარჩენი განთავისუფლებული არჩეული პროფმუშაკებისათვის დაწესებულია ხელფასი 300 მანეთი თვეში. ხელფასი აგრეთვე გაუდიდდა ბურღვის ჯგუფური (საუბნო) კომიტეტების თავმჯდომარეებსაც. კავშირის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, წინანდელი 225 მანეთის ნაცვლად, ისინი თვეში მიიღებენ 300 მანეთს. უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი სარეწაოების და რაიონების—თურქმენნეფტი, „ვოსტოკნეფტი", „ემბანეფტი", აგრეთვე მოლოტოვის და კაგანოვიჩის სახელობის სარეწაოები (ბაქოში) —პროფორგანიზაციების თავმჯდომარეებისათვის თვიური ხელფასი დაწესებულია 300 მანეთის რაოდენობით, გადიდებული ჯამაგირის გარდა, ძირეული პროფორგანიზაციების მუშაკებს საკავშირო საშუალებათა ხარჯზე ეძლევა პოპულარულ-ტექნიკური ლიტერატურის (უმთავრესად ბურღვის საკითხებზე), აგრეთვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პროფლიტერატურის საშინაო ბიბლიოთეკები. ამას გარდა, ეს პროფმუშაკები ყოველთვიურად მიიღებენ 10 მანეთის ტალონებს მიმდინარე ლიტერატურის შესაძენად.

ნავთის მხვილი რაიონების და სარეწაოების ყველა მუშაკისათვის დაწესებულია ერთი თვის შვებულება, აგრეთვე კურორტებზე და დასასვენებელ სახლებში გასაგზავნი საგზურები წამყვანი პროფესიის მუშების თანაბრად. ნავთის მრეწველობის ძირეული პროფმუშაკებისათვის საკავშირო სახსრების ხარჯზე, ეწყობა დაუსწრებელი სწავლება (ადხ).

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲜᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

კომკავშირში შემოდგომა-ზამთრის პოლიტსწავლებისათვის მზადების საკითხზე

საქართველოს კპ. (ბ) ცკ-ის მიერ მოწვეულ რესპუბლიკური პარტთათბირი, რომელმაც მოისმინა საქართველოს ა.ლ.კ.კ. კავშირის ც. კ-ის მდივნის ამხ. გ. **გიორგობიანის** მოხსენება კომკავშირში შემოდგომა-ზამთრის პოლიტსწავლებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ, გრძელდებოდა 9 და 10 ოქტომბერს.

საქ. ა.ლ.კ.კ.-ის ორგანიზაციის წინაშე დაიწყო თავისი მოხსენება ამხ. გიორგობიანმა—უაღრესად დიდი ამოცანებია დასახული. ამ ამოცანას ჩვენი ორგანიზაცია ბოლშევიკურად ვერ გადასჭრის, თუ არ ავამაღლეთ თვითეული კომკავშირელის პოლიტიკური მომზადების [illegible] უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კომკავშირი ძალიან გაიზარდა რიცხობრივად. ახლადმიღებული კომკავშირლების პოლიტიკური მომზადების დონე კი ფრიად დაბალია. ისინი ხეირიანად წესდებას და პროგრამასაც ვერ იცნობენ. ამ მდგომარეობას ადგილებზე ამხანაგებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ. დასახული ამოცანა დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს. არც ერთი კომკავშირელი პოლიტსწავლების გარეშე—ასეთია ც. კ-ის მითითება. ადგილებიდან გვაქვს ცნობები, რომ ზოგიერთი კომკავშირელი გაურბის პოლიტსწავლებას. ამ მხრით ჩვენი მთავარი ამოცანა ისაა, რომ კომკავშირელებს შევაგნებინოთ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების აუცილებლობა.

ჩვენი ლოზუნგია მარქსისტულ-ლენინური თეორიით თვითეული კომკავშირელის შეარაღება. ამ ლოზუნგის წარმატებით შესრულებისათვის უნდა იბრძოლონ კომკავშირლებმა პარტიის უშუალო ხელმძღვანელობით და დახმარებით.

გასულ წელს პოლიტსწავლების დარგში გვქონდა ზოგიერთი დეფექტი. ზოგგან მეცადინეობა სრულიად ჩაიშალა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ადგილებზე ამხანაგები ამ საქმეს ყურადღებას არ აქცევდენ და პარტიული ხელმძღვანელობაც მოისუსტებდა. ეს მდგომარეობა შემოდგომა-ზამთრის პოლიტსწავლების ქსელში აღარ უნდა გამეორდეს. წარსულ მუშაობაში არსებული დეფექტები შემდგომ გადაჭრით უნდა გამოსწორდეს.

კომკავშირში პოლიტსწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებას ძალიან უშლის ხელს რაიკომის კულტპროპ მუშაკების სათანადო მომზადებული და შერჩეული ამხანაგების უქონლობა კულტპროპგანყოფილების ზოგიერთი მუშაკი თვითვე აცხადებს, „როგორ უნდა გავუწიო ხელმძღვანელობა პოლიტსკოლებს, როდესაც თითონ მე არა მაქვს საამისო პოლიტიკური მომზადება“. კულტპროპმუშაკთა შორის, ფრიად მცირეა პარტიული კადრი; უკანასკნელად ჩვენ შევამოწმეთ 35 რაიკომის კულტპროპგანყოფილების გამგე და აქედან პარტიის მხოლოდ 5 კანდიდატი აღმოჩნდა არის შემთხვევებიც, როდესაც კულტპროპმუშაკებს პარტრაიკომები სხვა სამუშაოსთვის იყენებენ, როგორც მაგალითად ამას ადგილი აქვს ტყიბულში, საგარეჯოში, ონსა და სხვა რაიონებში. კულტპროპმუშაკების ხშირი ცვალებადობა უარყოფით გავლენას ახდენს პოლიტსწავლებაზე. ეს მდგომარეობა გადაჭრით უნდა გამოვასწოროთ ამ საქმეში დიდი დახმარება პარტრაიკომებმა უნდა გაგვიწიონ.

შემოდგომა-ზამთრის პოლიტსწავლების ქსელის გაშლისათვის მოსამზადებელი მუშაობა ადრე დავიწყეთ. მეცადინეობა ყველა სკოლასა და წრეებში პირველი ნოემბრიდან უნდა დაიწყოს. ზოგ რაიონებში მოსამზადებელი მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. (ზესტაფონი, თელავი, ყვარელი და სხ.), მაგრამ მთელმა რიგმა რაიონებმა ვერ უზრუნველყვეს მოცემულ ვადაში მოსამზადებელ მუშაობის კარგად ჩატარება. ასეთებია: აჭარისტანი, გურჯაანი და სხ. ჩამორჩენილმა რაიონებმა ახლავე უნდა გამოასწორონ დეფექტები, რომ აუცილებლად უზრუნველვყოთ 1 ნოემბრისათვის მეცადინეობის დაწყება.

საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციამ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია **სომხეთი და აზერბეიჯანი**, კომკავშირში პოლიტსწავლების საუკეთესოდ დაყენებისათვის. ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის ახლავე უნდა გავაჩაღოთ მუშაობა. სოცშეჯიბრების პირობები უნდა დავუყვანოთ თვითეულ სკოლამდე და მსმენელამდე.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სკოლები უზრუნველვყოთ სახელმძღვანელოებით და სათანადოდ მომზადებული, კვალიფიციური პროპაგანდისტებით. უამისოდ ჩვენს მუშაობას არავითარი შედეგი არ ექნება. მაგრამ ამ მხრით ჯერ კიდევ სერიოზული დეფექტები გვაქვს. ზოგიერთი რაიონი არ ზრუნავს რომ ადგილობრივად გამოძებნოს საშუალებანი და თანხები სახელმძღვანელოების შესაძენად. მთელი რიგი რაიონები არ არიან უზრუნველყოფილნი აგრეთვე პროპაგანდისტებით. რაც მთავარია, პროპაგანდისტების კადრი არ არის გამაგრებული კომუნისტებით; კერძოდ ეს უნდა ითქვას **სამტრედიის, თიანეთის, აბაშის და სენაკის** რაიონებზე.

ამ საკითხის გადაჭრაში უნდა დაგვეხმარონ ადგილობრივი პარტრაიკომები. კომკავშირის პოლიტსკოლებს უნდა გადავცეთ **საუკეთესო** პარტიული პროპაგანდისტები.

გულდასმით უნდა შევარჩიოთ და შევამოწმოთ კომკავშირელი პროპაგანდისტები. შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, როდესაც რაიკომის მდივანი არ იცნობს ამა თუ იმ პროპაგანდისტს; ასეთი შემთხვევები კი იყო გასულ წელს. გარდა ამისა, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს პროპაგანდისტთა თეორიულ დონის ამაღლებას. სწორედ ამ მიზნით რაიონებში მოვაწყეთ პროპაგანდისტთა გადასამზადებელი 15 დღიანი კურსები. ზოგგან კურსების მუშაობა ჩაიშალა.

რა თქმა უნდა, მარტო ეს 15 დღიანი კურსები ვერ გადაჭრის პროპაგანდისტთა თეორიული დონის ამაღლების საკითხს. საჭიროა ამ მიმართულებით სისტემატიური მუშაობა. ამ მიზნით უნდა ჩამოყალიბდეს პროსემინარები.

ყველაზე უფრო ჩამორჩენილია კომკავშირის აქტივის სწავლების საქმე. დღემდე ამას ვერ მივაქციეთ სათანადო ყურადღება. ზოგ შემთხვევაში არც თვით აქტივია ამით დაინტერესებული. ჰგონიათ, რომ ყველაფერი კარგად იციან, რომ მათთვის აღარაა სწავლა საჭირო. ასეთი მდგომარეობა აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ.

კომკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციები წარმატებით შეასრულებენ თავის წინაშე დასმულ ამოცანებს, თუ გადაჭრით გაუმჯობესდება პარტიული ხელმძღვანელობა და დახმარება კომკავშირის პოლიტსწავლების საკითხებზე. უნდა აღინიშნოს, რომ წელს ამ დარგში დიდი გარდატეხა მოხდა. პარტიის რაიკომებმა და პარტუჯრედებმა გაამახვილეს ყურადღება კომკავშირზე ხელმძღვანელობის საკითხში. მაგრამ კიდევ არიან ისეთი რაიონები, სადაც ეს საქმე ისევ მივიწყებულია და კომკავშირს ყურადღებას არ აქცევენ.

ამხ. გიორგობიანის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელიც გრძელდებოდა თათბირის პირველ და მეორე სხდომაზე. კამათში მონაწილეობა მიიღო 14 ამხანაგმა.

გამოსული ამხანაგების სიტყვებიდან ირკვევა, რომ საქართველოში შემოდგომა-ზამთრის პოლიტსწავლებისათვის მზადება გასულ წელთან შედარებით უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს. ერთიან საკავშირო დღეს დამუშავდა კომკავშირში შემოდგომა-ზამთრის პოლიტსწავლების ქსელის გაშლის საკითხი. გამოიყო უჯრედებთან სამეულები, რომელთა ხელმძღვანელობითაც მიმდინარეობს სკოლების და წრეების დაკომპლექტება. სკოლებში მსმენელთა განაწილება ხდება მათი ცოდნის შემოწმების შემდეგ. ამთავითვე მიღებულია ზომები სკოლების ბინებით და გათბობა-განათებით უზრუნველსაყოფად. გროვდება თანხები სახელმძღვანელოების და სასწავლო ნივთების შესაძენათ პერსონალური განხილვით პროპაგანდისტები შემოწმებული და დამტკიცებული არიან რაიკომის ბიუროს სხდომებზე. პოლიტსწავლების საუკეთესოდ დაყენებისათვის ფართოდ არის გაშლილი სოცშეჯიბრება, როგორც რაიონებსა, ისე უჯრედებს შორის.

თათბირზე აგრეთვე აღინიშნა მთელი რიგი დეფექტები; ზოგან პარტიის რაიკომები და პარტუჯრედები თავის ყურადღების ცენტრში არ აყენებენ კომკავშირის პოლიტსწავლების საკითხს, არ აძლევენ კომკავშირის რაიკომებს საუკეთესოდ შემოწმებულ პარტიულ პროპაგანდისტებს (სენაკი, ზუგდიდი, ლაგოდეხი).

პარტრაიკომი არ გვიწევს დახმარებას—ამბობდა ოზურგეთიდან ამხ. ჯიბლაძე—ნაცვლად იმისა, რომ ჩვენთვის მოეცა კომუნისტი პროპაგანდისტები, პარტრაიკომი პირიქით მოიქცა; 23 კომკავშირელი პროპაგანდისტი პარტგანათლების ქსელში გამოიყენა.

ასევე მოიქცა სენაკის პარტრაიკომიც. სენაკის კომკავშირის რაიკომს შერჩეული ჰყავს 150 პროპაგანდისტი; აქედან არც ერთი არ არის კომუნისტი. აჭარისტანი, თიანეთი და ზესტაფონი არ არიან უზრუნველყოფილნი პროპაგანდისტებით. ზესტაფონის რაიონში უნდა გაიხსნას 124 სხვადასხვა ტიპის პოლიტსკოლა. პროპაგანდისტი კი არის 98 კაცი. ზოგგან კომკავშირის რაიკომებმა ვერ უზრუნველყვეს პროპაგანდისტების 15 დღიანი კურსების მოწყობა. (დუშეთი, ქუთაისი, გორი).

კამათში გამოსული ამხანაგები განსაკუთრებით აღნიშნავდენ ადგილობრივი საფინანსო ორგანოების უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას პოლიტსწავლების დაყენებისათვის არსებული თანხების გაცემაში. ამ თანხებს თავის დროზე არ აძლევენ კომკავშირის რაიკომებს (გორი), რის გამოც ჭიანურდება სახელმძღვანელოების და სასწავლო ნივთების შეძენა. გამოირკვა, რომ საზაფხულო პოლიტსწავლების სკოლები და წრეები ვერ იყვნენ უზრუნველყოფილნი სახელმძღვანელოებითა და პროგრამებით. კამათში გამოსული ამხანაგები ხაზს უსვამდენ რა ამ მდგომარეობას, გადაჭრით მოითხოვდენ: შემოდგომა-ზამთრის პოლიტსწავლების სკოლების და წრეებისათვის ადგილებზე თავის დროზე დაიგზავნოს სახელმძღვანელოები და პროგრამები.

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲨᲤᲝᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ

თიანეთის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ადგილი აქვს საკოლმეურნეო ქონების განიავების აღმაშფოთებელ ფაქტებს.

ავიღოთ მაგ. სოფ. თორანის კოლმეურნეობა, რომლის თავმჯდომარეთაც დღევანდლამდე არის პარტკანდიდატი **გრიგოლ არაბული**.

1932 წელს როგორც წესი, მოსავალი კოლმეურნეობაში უნდა განაწილებულიყო შრომა-დღეების მიხედვით. ამაზე გარკვევით მიუთითა კოლმეურნეობის გამგეობას რაიმიწგანის წარმომადგენელმა ამხ. **ი. ლებანიძემ** მაგრამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე გრ. არაბულმა მოსავლის განაწილების სია დამალა და განაწილება მოახდინა იმის მიხედვით, თუ ვინ უფრო ენათესავება, ან ახლოს არის გრ. არაბულთან.

აი ფაქტები:

დააკლდა შრომა-დღეების მიხედვით კუთვნილი შემოსავალი კოლმეურნე მინა ბურდულს 88 მან. 78 კაპ. ზ. ბურდულს 85 მან. 75 კაპ. მარო ბურდულს 68 მან. 81 კაპ. შალიკო წიკლაურს 105 მან. 04 კაპ. აფშინა გიგაურს 73 მან. 35 კაპ. ნ. წიკლაურს 55 მან. 63 კაპ. ი. წიკლაურს 54 მან. 46 კაპ. და სხვა. ამავე დროს ზედმეტი პროდუქცია წაიღეს გ. არაბულის ახლობლებმა რ. წიკლაურმა, გიგო ბურდულმა (მოანგარიშეა), ნ. არაბულმა კ. არაბულმა და გ. წიკლაურმა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე არაბულის ხელმძღვანელობით კოლმეურნეობაში მოწყობილია „საიდუმლო ფონდი“ ქორწინებისათვის, ნათლობისათვის, ქელეხებისათვის და სხვ. ამ ფონდის ანგარიშში კოლმეურნეობიდან გაცემულია 135 ფუთი პური. გრ. არაბულის ხელმძღვანელობით განიავებულია ზემოხსენებული პური მაგრამ იგივე არაბული სახელმწიფოსაგან ღებულობს სესხად რამდენიმე ათეულ ფუთ პურს, კოლმეურნეობის საჭიროებისათვის, რომელიც დღემდე არაა დაბრუნებული.

არაბულის წათამაშებით კოლმეურნეობის ზოგიერთი წევრები იქამდეც კი მივიდენ, რომ თუ ერთი მხრით ღებულობენ სახელმწიფოსაგან სესხად პურს, მეორეს მხრით სახლში შენახულ პურით მთელი ზაფხულის განმავლობაში სპეკულიაციას ეწეოდენ. ლევან გიგაურმა გაყიდა 6 ფუთი პური, ნ. წიკლაურმა 2 ფუთი; რ. ბურდულმა 3 ფუთი; მ. ბურდულმა 3 ფუთი; ყველა ესენი ის კოლმეურნეებია, რომელთაც სახელმწიფოსაგან სესხად მიღებული აქვთ მარცვლეული.

1932 წლის მოსავალი ბეღლებში (3 ადგილს) აუწონავად ჩაყარეს. ამით კოლმეურნეობის თავმჯდომარე არაბულმა არია აღრიცხვა და ალბათ მღვრიე წყალში თევზიც დაიჭირა.

გრ. არაბული არც პიროტყვის განადგურებაში ჩამოუვარდება კულაკებს. ამას წინად „დაიკარგა“ ორი კამეჩი, მოკვდა ერთი ხარი; ყველაფერი იცის გრ. არაბულმა მაგრამ ამაზე კრინტიც არსად არ დაუძრავს.

მიმდინარე წელს შირაქში კოლმეურნეობის მწყემსებისთვის გოგია არაბულმა და ლექსო გიგაურმა წაიღეს სიმინდი და ქერი 90 ფუთამდე, არაბული და გიგაური მალე დაბრუნდენ წითელ წყაროდანვე მთვრალები, მათ განაცხადეს—ყაჩაღებმა გაგვძარცვეს და ტვირთი, რომელიც ორი ურმით მოგვქონდა, — წაგვართვესო (?!!) „წართმეული“ სიმინდის და ქერის საშუალო საბაზრო ფასი 10.000 მანეთს მაინც უდრიდა, მაგრამ გრ. არაბული ამაზე სრულიად არ შეშფოთებულა, ეს მან „ნორმალურ დანაკლისად“ ჩასთვალა, და ბოროტმოქმედების კვალიც მალე მიფუჩეჩდა.

გრ. არაბული ხშირადაა მივლინებებში „სამსახურის საქმეების გამო“. ახლახან არაბულმა ტფილისში შეიძინა ტრაქტორი. მოანგარიშეს წარუდგინა ცნობა, რომ ტრაქტორების შეძენა დაუჯდა 9.500 მან. და შიგვე ჩაურთო, 400 მანეთის ხელწერილი, რომელიც „დაიხარჯა მალარიის სახით“-ო (?).

არაბული კოლმეურნეობას სტოვებს მაშინ, როდესაც გახურებული მუშაობაა. ბეღლის შენობა დღემდე დაუმთავრებელია, არეულია კოლმეურნეობის ანგარიშ-წარმოება. ამ მოკლე ხანში არაბულმა გაყიდა კოლმეურნეობის ხარი და მოზვერი,—აღებული თანხა კი შემოსავალში დღემდე არ გაუტარებია.

ასეთია თორანის კოლმეურნეობის ხელმძღვანელ გრიგოლ არაბულის „საქმენი საგმირონი“.

ასეთსავე ბოროტმოქმედებებს აქვს ადგილი სოფ. ჟებოტის კოლმეურნეობაში. (თავმჯდომარე **გიორგი ივანური** და კომუჯრედის მდივანი **გიგლო ხისაური**).

მივლინებების ხარჯები ამ კოლმეურნეობაში უკანონოდ იცემა: ყოველ მივლინებულს რაიონის გარედ ეძლევა დღეში 8 მანეთი ფულად, ეწერება 1 შრომა დღე, უნაზღაურდება ყველა ფაქტიური ხარჯები და კვებისათვის (ქეიფობა, როცა ამას „საჭიროდ“ დინახავენ) გაწეული ხარჯები. თვითეული მივლინება დაახლოებით გრძელდება 20-დან 25 დღემდე. „მივლინებაში“ კი ხშირად დადის თავმჯდომარე გ. ივანაური. ამ მოკლე ხანში მივლინებებზე ფულად დახარჯულია სამი ათასი მანეთი.

კოლმეურნეებზე 1933 წლის პირველ ნახევარში უკანონოდ გაიცა ავანსები ნატურით, ვისაც მეტი შრომა დღეები ჰქონდა, მათ ან სულ მცირე, ან სულ არაფერი მიეცათ, ხოლო ვისაც არც ერთი შრომა დღე, ან ძლიერ მცირე შრომა-დღეები ქონდათ მათ მიეცათ მეტი. ასე მაგ. **ივანე ფეტვიაშვილს** მიეცა 4 ფუთი პური, თუმცა მას არც ერთი შრომა-დღე არ ჰქონდა გამომუშავებული; გოგრა ბადურაშვილს—64 კილო. ქერი, 1 ფუთი სიმინდი, 1 ფუთი ახალი, სულ 6 ფუთი—ჰქონდა ორი შრომა-დღე; სიკო ბადურაშვილს—10 ფუთი პური, ჰქონდა 8 შრომა-დღე მხოლოდ. თავმჯდომარე ივანაური ასე იძახის: „იმუშავებს და მერე გავასწორებთ“-ო.

კოლმეურნეობას აქვს 8 წისქვილი, მაგრამ სამინდე გამოსაღები უგზო-უკვლოდ ნიავდება. მინდი იმ პირებს მიაქვთ, ვინც წისქვილებში მუშაობენ, ისინი კი უმრავლეს შემთხვევაში წისქვილების ყოფილი მეპატრონეებია. არ არის არავითარი აღრიცხვა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ერთი ჩამორთმეული წისქვილი, ისევ ყოფილ პატრონს „აჩუქა“.

სოფ. ჟებოტის კოლმეურნეობის საანგარიშო წიგნაკებში შრომა-დღეების ჩაწერა ხდება თვეში ერთხელ; სამუშაოები ხშირად სრულად და სწორად არ იწერება; კოლმეურნეობების სათიბებს იყენებენ ერთპიროვნული მეურნეები, მაშინ, როდესაც კოლმეურნეობას თივა არა აქვს. მთელი რიგი კოლმეურნეები და თვით თავმჯდომარე თავიანთ კერძო საქმეზე მუშაობენ,—კოლმეურნეობაში კი იყენებენ დაქირავებულ მუშა-ხელს, რაზედაც გაიცა 1500 მანეთამდე.

ზოგიერთი ფაქტები რაიონის სხვა კოლმეურნეობებიდანაც.

ს. **მაგრანეთის** კოლმეურნეობის თავმჯდომარე **მიტრო ხარნაული** დათესა გაურკვეველი და შეუწამლავი თესლი; გასცა კოლმეურნეობის თესლი შავსიელებზე თამარ ბეწუკლიშვილზე და ლ. ხარნაულზე. კოლმეურნეობის კამეჩები პირად სარგებლობაში მუშაობის შემდეგ გაუშვა უპატრონოდ. ერთი კამეჩი ამის გამო დაიხრჩო ჭაში. კოლმეურნეობის ცხენები „დაასვენა“, ლეწვა კი ჩაატარა დაქირავებულ ცხენებით და სხვ.

ს. **ნადოკრის** კოლმეურნეობიდან მოიპარეს ყველი და ტყავები, რომლის ღირებულება რამდენიმე ასეულ მანეთს უდრის.

ს. ნიშეს კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარემ ი. ელოვლიშვილმა ხანჯლით დასჭრა ახლანდელი თავმჯდომარე ხვთისო მამსიკაშვილი იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა პირველის ბოროტმოქმედებანი გამოაშკარავა, დამნაშავის მიმართ დღემდე არავითარი ზომები არაა მიღებული.

ს. მამადენის და ჭურჭელაურების კოლმეურნეობაში განსაზოგადოებული მუშა საქონელი და ინვენტარი ყოფილ მეპატრონეების ხელშია. მარცვლეული, კულტურების მოსავალი გაანაწილეს მინდორზე ჯერ კიდევ გალეწვამდე (ძნების სახით). არეულია ანგარიშწარმოება და შრომა დღეების აღრიცხვა. კოლმეურნეობების წევრების შორის გამეფებულია უდისციპლინობა.

ს. გოჯიანების კოლმეურნეობის წისქვილიდან 5 თვის განმავლობაში აღებული მინდი 135 ფუთის რაოდენობით განიავებულია მეწისქვილის (ყოფილი მეპატრონის, შეძლებული მეურნის) მიერ.

ს. გუდანელების კომუნა „ულამის“ წევრებს შორის ადგილი აქვს უდისციპლინობას, მეორე და მესამე კვარტალის დავალება ხორცის და მატყლის დამზადების დარგში დღემდე არ არის შესრულებული.

თიანეთის რაიმიწგანმა ამ ერთი თვის წინად სოფ. თორანის და ჟებოტის კოლმეურნეობები გამოარკვია და კოლეგიაზე მოისმინა კიდეც მოხსენებები ამ გამოკვლევის შედეგებზე. ზემოხსენებული ბრალდებები დადასტურებულია, მაგრამ დამნაშავეთა მიმართ წაყენებული ბრალდებები „ჩაითვალა გაუქმებულად“ (!)

თიანეთის რაიონის კოლმეურნეობებში შექმნილი ასეთი მდგომარეობა აიხსნება კლასიური მტრების—კულაკების, მათი აგენტების და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ სუსტი ბრძოლით. რაიმიწგანი, რაიპროკურატურა და სხვა ორგანოები ამ საქმეს არ აქცევენ სერიოზულ ყურადღებას და იჩენენ დაუშვებელ უყურადღებობას საკოლმეურნეო ქონების გამნიავებლების მიმართ.

რედაქციისაგან: აღნიშნავს, რა თიანეთის რაიონის კოლმეურნეობათა დანაგვიანების და საზოგადოებრივი ქონების განიავების ზემოდ მოყვანილ აღმაშფოთებელ ფაქტებს, „კომუნისტი“ მოელის საქმეში ს.კ.პ. (ბ) თიანეთის რაიკომის, რაიაღმასკომის და ადგილობრივი პროკურორის დაუყოვნებლივ ჩარევას, დამნაშავეთა მიმართ სათანადო მკაცრი ზომების მიღებისათვის.

ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲣᲓᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ტფილისის მაუდის ფაბრიკა ოქტომბრის რევოლუციის 16 წლისთავის ჩასატარებლად აქტიურად ემზადება. ზეიმი ჩატარებულ იქნება 1 საწ.-საფ. გეგმების როგორც რიცხობრივ, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულების ნიშნით. ამ მიზნით, პარტკომის მიერ შემუშავებული გეგმის რეალიზაციისათვის 3 ოქტომბერს რიგ გარეშე მოწვეულ საამქრო კომუჯრედების ღია კრებაზე, მოსმენილ იქნა საამქროს გამგეების მოხსენებები—გეგმების რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის, მუშა-ხელის დენადობის, გამცდენლებთან ბრძოლის, თვითღირებულების შემცირების, 7 საათის სამუშაო დღის სრული დატვირთვის გამოყენების, დაზგებზე მუშების მიმაგრების და სხვა საწარმოო საკითხების ირგვლივ. მოხსენებათა მოსმენის შემდეგ უჯრედებმა დასახეს მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები გეგმების შესრულებაში ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ.

ოქტომბრის რევოლუციის 16 წლისთავის წინასწარ მოსამზადებელ მუშაობასთან დაკავშირებით 12 ოქტომბერს ფაბრიკაში მოწვეული იყო კონფერენცია პროდუქციის ხარისხის საკითხებზე.

20 ოქტომბერს, ფაბრიკაში ჩატარდება პოლიტდღე, სადაც შეჯამებული იქნება ოქტომბრის რევოლუციის 16 წლისთავისთვის სოციალისტური მშენებლობის მიღწევები.

ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე მოსმენილი იქნება ძველ ბოლშევიკთა მოგონებები თემაზე: „როგორ მომზადდა ოქტომბრის რევოლუცია“. გარდა ამისა, ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და დიასახლისების საერთო კრებაზე მოსმენილი იქნება სამოქალაქო ომში მონაწილეთა საუბრები.

ფაბრიკის საშეფო სოფ. ნაფარეულში გაიგზავნება ბრიგადა—ოქტომბრის ზეიმისათვის როგორც მოსამზადებელი მუშაობის ისე თვით ზეიმის ჩასატარებლად. ბრიგადას თან წაიღებს სამრეწველო საქონელს საუკეთესო კოლმეურნეთა დასაჯილდოვებლად.

ოქტომბრის დღეებში გამოვა ფაბრიკის მრავალტირაჟიანი გაზეთი „ტფილისის მაუდელის“ და საამქრო კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები.

ოქტომბრის რევოლუციის 16 წლისთავის უკეთ ჩატარების მიზნით, მაუდის ფაბრიკამ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ტფილისის ტრამვაი.

ვამოწმებთ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. 1931 წ. 31 ოქტომბრის დადგენილების შესრულებას

ᲤᲔᲠᲝ-ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲔᲪᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

(ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ, „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“-Ს ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡᲐᲒᲐᲜ)

150 ათასი ტონა ფერომენადნობი ყოველწლიურად — ასეთია ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხნის საპროექტო სიმძლავრე. ამ რაოდენობის პროდუქციას გამოუშვებს 18 ღუმელი, რომელიც ქარხანაში იქნება მშენებლობის მთლიანად დამთავრების შემდეგ. მაშინ ქარხანას დასჭირდება 120 ათასამდე კილოვატი ელექტრო - ენერგია, ე. ი. დაახლოვებით სამი იმდენი, რამდენსაც რიონჰესი მოგვცემს.

ეს იქნება საკავშირო მნიშვნელობის გიგანტი...

საქართველოს მშრომელები გულის ფანცქალით მოელიან იმ დღეს, როდესაც ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანა მოგვცემს პირველ ფერომენადნობს. ეს კი კარგა ხნით ადრე უნდა მომხდარიყო. საკ. კ. პ. (ბ) ცკას 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებაში ა.-ქ. პარტორგანიზაციების მუშაობის შესახებ ნათქვამია: **„ფერომარგანეცის მშენებლობის ხაზით უზრუნველყოფილი იქნას საქართველოში ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხნის დამთავრება დანიშნულ ვადაში, ე. ი. 1932 წლის მარტისათვის“.** ამ ვადიდან წელიწადნახევარზე მეტი გავიდა და ფერომარგანეცის ქარხნის მშენებლებმა ჯერკიდევ ვერ მისცეს ქვეყანას მზა პროდუქცია. ასეთი მდგომარეობა შეიძლებოდა შექმნილიყო მხოლოდ იმის გამო, რომ მშენებლობის პარტიულმა ორგანიზაციამ ვერ გარდაქმნა მუშაობა ფრიად საპასუხისმგებლო დავალების შესაბამისად.

— რას იზამ, მუშა - ხელი არ არის,—გულს იმშვიდებდენ, როგორც პარტიული, ისე სამეურნეო ხელმძღვანელები.

მუშა-ხელი მართლაც, რომ არ ყოფნიდათ, დიდიდან მშენებლობის დაწყებისა, ყოველთვის აკლდათ საჭირო მუშა - ხელის 30—35 პროც, მაგრამ ვინ იყო ამაში დამნაშავე, თუ არა და ქარხნის მშენებლობის ხელმძღვანელები? ისინი ტფილისსა და მოსკოვს უყენებდენ მოთხოვნილებას მუშებზე, ნაცვლად იმისა, რომ ადგილობრივ კოლმეურნეობებთან დაედვათ ხელშეკრულებები და იქიდან წამოყვანილი ხალხი ბინებით და კვებით დაეკმაყოფილებიათ. ფაქტურად, ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც კოლმეურნეობებიდან მოსული მუშები, ცუდი საყოფაცხოვრებო პირობების გამო, უკანვე მიდიოდენ. მუშათა მომარაგება პურის მიცემით და ცუდი სადილებით ამოიწურებოდა.

იყო სხვა მიზეზებიც, რომლებმაც შეაფერხეს ქარხნის ვადაზე ამუშავება. თანახმად ხელშეკრულებისა, მშენებლობას საიმპორტო მოწყობილობა 1932 წლის იანვარში უნდა მიეღო, ფაქტიურად კი მიიღო იმავე წლის 15 აგვისტოდან. ამგვარად, მშენებლობის დამთავრების ვადაზე, 1932 წლის მარტში, მანქანა - მოწყობილობაც კი არ იყო მიღებული. ძლიერ გაჭიანურდა წყალსადენის მილების და ფასონური ნაწილების მიღება. ამის გამო, წყალსადენის გაყვანა მხოლოდ ამ 10 დღის წინად დამთავრდა.

ასეთი დაჭიმული პირობების დროს პარტიული ორგანიზაციის წინაშე იდგა ამოცანა: **რაც შეიძლება მაქსიმალურად შემცირებიათ მშენებლობის ხანგრძლივობა.** მიმდინარე წელს მშენებლობას ქონდა მოწყობილობა (ღუმელებისათვის), მაგრამ მუშა - ხელის სიმცირემ ხელი შეუშალა მუშაობის დაჩქარებას. მშენებლობაზე ადგილი ჰქონდა მუშათა ძლიერ დენადობას. მიმდინარე წლის 8 თვეში, ყოველთვიურად 58 ახალ მუშას ღებულობდენ, ხოლო ამავე დროის განმავლობაში, მშენებლობიდან 118 მუშა მიდიოდა. დენადობის მთავარი მიზეზი იყო ცუდი კვება, ბინების ნაკლებობა. წელს ამას ხელფასის 2—3 თვით დაგვიანება დაემატა. ბინებით ახლა კადრის მუშების დაახლოვებით 70 პროცენტია დაკმაყოფილებული (სტანდარტული, ქვის სახლებში). დანარჩენი მუშები დროებითი ბარაკებში ცხოვრობენ, მაგრამ ბარაკებიც ვერ იტევს მათ. მშენებლობის მუშათა თითქმის 20 პროცენტი უბინაოდაა დარჩენილი.

ფერომარგანეცის ქარხანა შევიდა ამუშავების პერიოდში; 20 ოქტომბრიდან დაიწყება პირველი ღუმელის გამოცდა, ხოლო ერთ თვეში ამუშავდება სულ სამი ღუმელი; თითო ღუმელი დღე-ღამეში, ნორმალური მუშაობის დროს, მოგვცემს 35 ტონა ფერომენადნობს.

მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრისათვის ფერომარგანეცის ქარხნის მშენებლობა შემდეგ სურათს იძლევა: ძირითადად მოთავებულია 3 ღუმელის მშენებლობა, მათ შორის, პირველი ღუმელი სრულიად მზადაა. მთლიანად დამთავრებულია ქვესადგურის მშენებლობა, საფხვენი საამქროც მზადაა. გაყვანილია ვიწროლიანდაგიანი რკინის გზა შორაპნიდან ქარხნამდე. ამ გზის საშუალებით მარგანეცი — ჭიათურის მაღაროებიდან — გადაუტვირთავად მიტანილი იქნება ქარხნამდე. დამთავრებულია წყალსადენის გაყვანაც. ცენტრალური ბუნკერების მშენებლობა 1932 წლის ბოლოს დაიწყო და 1933 წლის პირველ ნახევარში მოთავდა. შიგა - საქარხნო გზები მზადაა 71,3 პროცენტით. ბინათმშენებლობა ჩამორჩება საერთოდ მშენებლობის ტემპებს. სულ აშენებულია 6 სახლი. მათ შორის 2, თითო 67 ოთახით, უცოლშვილოებისათვის, დანარჩენი 4 სახლი, სულ 40 ბინით, ოჯახიან მუშებისა, და საინჟინერო - ტექნიკური მუშაკებისათვის. მშენებლობის პარტიული, სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციების წინაშე დგას, ამოცანა — დააჩქარონ ბინების მშენებლობა, რომ ყველა მუშა, უახლოეს თვეებში დააკმაყოფილონ კულტურული საცხოვრებლით.

3 წელია, რაც ფერომარგანეცის ქარხნის მშენებლობა მიმდინარეობს და ის ახლა ყველაზე საპასუხისმგებლო პერიოდში შევიდა. **პირველი სამი ღუმელის ამუშავება — ეს ქარხნის მშენებლების გამოცდაა.** პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელსაც თვეზე მეტია, ახალი ხელმძღვანელობა ჩაუდგა სათავეში, უნდა დაამტკიცოს, რომ მას შეუძლია უზრუნველყოს მშენებლობის მოკლე ხანში მთლიანად დამთავრება. მით, უმეტეს, პირველი რიგის სამუშაოების დროს დაწინაურდენ ათეული კომუნისტები, რომლებმაც უჩვენეს ენერგიული მუშაობის მაგალითები. მონტაჟზე 44 კომუნისტი მუშაობდა. ისინი უაღრესად საპასუხისმგებლო დავალებებს ასრულებდენ. ბევრმა მათგანმა თავდადებით და იშვიათი მუყაითობით გამოიჩინა თავი. პარტორგებმა **სიმონ სამყურაშვილმა და ვლადიმერ ლომთაძემ** საერთო პატივისცემა დაიმსახურეს. მათი ბრიგადები არ შორდებოდენ სამუშაოს, ზედმეტად რჩებოდენ რამოდენიმე საათის განმავლობაში და ამგვარად, ამოკლებდენ მონტაჟისათვის საჭირო დროს. სამყურაშვილის ბრიგადას საფხვენი მანქანები, ერთ კვარტალში უნდა აეწყო, ფაქტიურად, 3 კვირით ადრე ააწყო. ამავე დროს, მონტაჟის ხარისხი მაღალი იყო.

ლომთაძის ბრიგადამ 10 დღით ადრე დაამთავრა ტრანსპორტერების მონტაჟი და ბუქსირზე აიყვანა წყალსადენის გაყვანაზე მომუშავე ბრიგადა.

მექანიკური საამქროს ილექტრო განყოფილების პარტორგი **ლევან ყიფიანი** ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს. მისი ბრიგადის მიერ შესრულებული სამუშაოების ცუდი ხარისხის გამო არასოდეს არაფერი უთქვამთ.

პირნათლად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას კომუნისტები: **ელიზბარ ნასიძე, რომან მაგალაძე, პარმენ პერონიძე, ნიკოლოზ ლუტიძე, ზაქარია შავიძე** და სხვ.

არ იქნებოდა სწორი გვეთქვა, რომ ყველა კომუნისტი ერთნაირად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. ავიღოთ თუ გინდ იგივე სამონტაჟო სამუშაოები. **ალექსანდრე ნებიერიძემ** 4 დღე გააცდინა, არასაპატიო მიზეზით, **კოსტა გოგიბერაშვილმა** თვითნებურად მიატოვა მშენებლობა და სოფელში გაიქცა. პირველის მიმართ უჯრედი, (მდივანი **ლორია**) სასტიკი საყვედურის გამოცხადებით [illegible] უკანასკნელი გაფრთხილებით დაკმაყოფილდა, ხოლო წარმოების დეზორგანიზატორი გოგიბერაშვილი სრულიად დაუსჯელად დატოვა. ამას **ლორია** ასე ხსნის: — გოგიბერაშვილი პარტუჯრედის ბიუროს სხდომაზე არ გამოცხადდა, ხოლო უმისოდ მისი საკითხი არ განვიხილეთო. სხვათა შორის, გოგიბერაშვილმა 2 თვეზე მეტია, რაც მშენებლობა დატოვა. როგორც ნებიერიძე, ისე გოგიბერაშვილი მშენებლობამ მოამზადა მეტალურგებად, მაგრამ მათ აბუჩად აიგდეს მშენებლობის ინტერესები. ასეთი „კომუნისტები“ — სანიმუშოდ უნდა დაისაჯონ.

⁂

იწყება ქარხნის ნაწილობრივი ექსპლოატაცია. ისმება საკითხი, რამდენად მომზადებული ხვდებიან ამ დიდი მნიშვნელობის საქმეს? ქარხანა უზრუნველყოფილი იქნება ტექნიკური ხელმძღვანელობით (ინჟინრებით, ტექნიკოსებით); არიან კვალიფიციური მუშებიც —მეტალურგები. ამ მხრივ ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხანას დიდად შეუწყო ხელი იმან, რომ ფერომარგანეცის საცდელ ღუმელზე (ნავთლუღში) მუშაობის დროს მომზადდა კვალიფიციური კადრები, რომლებიც ახლა ზესტაფონის ქარხანას გადაეცა. ამის გარდა, ზესტაფონის ქარხნისათვის მეტალურგების მომზადება წარმოებდა ჩელიაბინსკის ფერომენადნობების ქარხანაში და დონბასის ქარხნებში. კადრების მომზადების ასეთი წესი შემდეგშიც იქნება გამოყენებული. უფრო მწვავედ დგას დამხმარე მუშების საკითხი. მშენებლობის ხელმძღვანელები ამას თავიდანვე მეორეხარისხოვან საქმედ თვლიდენ, ფიქრობდენ, რომ დამხმარე მუშების შოვნა ყოველთვის შეიძლებაო. ახლა კი ეს საქმე არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ამ კატეგორიის მუშათა მწვავე ნაკლებობა საფრთხეს უქმნის ღუმელების მუშაობას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა კვების გაუმჯობესებას და ბინების რაციონალურად გამოყენებას. მკვიდრ ნიადაგზე უნდა დადგეს საკლუბო მუშაობა, რომელიც აქამდის ყველაზე უფრო მივიწყებულ დარგს წარმოადგენდა.

ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხნის მშენებლები ძლიერ დაგვიანებით იწყებენ ქარხნის ნაწილობრივ ექსპლოატაციასაც კი. ეს დიდი ჩამორჩენა დაფარულ უნდა იქნას ახალი ტექნიკის ათვისებისათვის გმირული, თავდადებული ბრძოლით, მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებით.

დ. ლომთაძე; ან. ყურუა.

ᲠᲝᲓᲔᲛᲓᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲡ ᲩᲐᲜᲢᲚᲐᲫᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲜᲔᲑᲝᲑᲐ

ცეკავშირთან არსებულ „საქთევზხორცის“ გაერთიანებას ხელმძღვანელობს ვინმე **ჩანტლაძე**, რომელიც არ ემორჩილება ზემდგომი ორგანოების დადგენილებებს და თვითნებურად განაგებს გაერთიანების საქმეებს. იგი სრულიად უმიზეზოდ სამუშაოდან ხსნის გაერთიანების საუკეთესო მუშაკებს. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ფაქტები.

ხსენებული გაერთიანების საქმეთა მმართველი **ნინა გივიშვილი**, რომელიც მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებდა, ა.-წ. 17 თებერვალს ჩანტლაძემ სრულიად უმიზეზოდ სამსახურიდან მოხსნა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ საქმე გივიშვილის სასარგებლოდ გადაწყვიტა, ჩანტლაძემ უდანაშაულოდ მოხსნილი თანამშრომელი მაინც არ აღადგინა. სხვადასხვა ორგანოებში სამი თვის უშედეგო სიარულის შემდეგ, გივიშვილმა, როდესაც ჩანტლაძე შვებულებაში იმყოფებოდა, მიმართა მის მოადგილეს ამხ. ჩარგვიშვილს, რომელმაც მიიღო რა მხედველობაში სასამართლოს გადაწყვეტილება, გივიშვილი აღადგინა სამუშაოზე.

შვებულებიდან დაბრუნებისას ჩანტლაძემ იუკადრისა თავისი მოადგილის ასეთი „უფლებების გადაჭარბება“ და რამდენიმე ხნის შემდეგ, ძმა-ბიჭების დახმარებით, ამხ. ჩარგვიშვილიც მოახსნევინა სამსახურიდან.

ასეთივე მახინაციებით ჩანტლაძემ სრულიად უმიზეზოდ მოხსნა ამავე გაერთიანების თანამშრომლები: მთავარი ბუხჰალტერი ი. გოგოლაშვილი, მთ. ბუხჰალტერის მოადგილე ხრიკიანოვსკი და მოანგარიშე ვარა ზაუტაშვილი (ეს უკანასკნელი მოხსნა ფეხმძიმეობისათვის).

ა.-წლის 5 აგვისტოს ჩანტლაძემ გამოიძახა თევზის ბაზის გამგე ქორიძე, რომელსაც უბრძანა; საბჭოთა მეურნეობის სექტორის გამგის მოადგილე გრიშა მომცემლიძისათვის უსასყიდლოდ მიეცა რამდენიმე კილო თევზი. ამხ. ქორიძის საწყობში რამდენიმე წუთით დააგვიანდა. ჩანტლაძემ შეურაცყოფილად იგრძნო თავი და გულმოსულმა დაწერა ბრძანება ქორიძის სამსახურიდან მოხსნის შესახებ; ჩანტლაძის ბრძანებათა „სისტემატიურად შეუსრულებლობის“ გამო. სამი დღის შემდეგ ჩანტლაძე „დამშვიდდა“ და თავის უკანონო ბრძანება ახალი ბრძანებით შეცვალა: ვინაიდან ამხ. ქორიძე ადმინისტრაციის ბრძანებებს ზუსტად და სისტემატიურად ასრულებდა, აღდგენილ იქნეს თავის თანამდებობაზეო.

მოქ. ჩანტლაძის ამ საქმეში დახმარებას უწევდა და ზურგს უმაგრებდა ადგილკომის თავმჯდომარე ივანე ბერიძე.

„საქთევზხორცის“ დირექტორი ჩანტლაძე ასეთი თვითნებური მოქმედებისათვის, თანამშრომლების აბუჩად აგდებისა და შევიწროებისათვის სასტიკად უნდა დაისაჯოს.

მცოდნე.

ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲘᲜᲐ ᲐᲠᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ

(ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ)

მესამე წელია გურჯაანში გამოდის მრავალტირაჟიანი ნაბეჭდი გაზეთი „კოლექტიური შრომა“. გაზეთის გამოცემას სისტემატიურად 9—10 დღეობით და ზოგჯერ თვეობითაც აგვიანდება. პირველი მიზეზი გაზეთის დაგვიანებით გამოსვლისა არის საკუთარი სტამბის უქონლობა. გაზეთი „კოლექტიური შრომა“ იბეჭდება სხვადასხვა რაიონის სტამბებში — თელავში, სიღნაღში; და ზოგჯერ ტფილისშიაც. ამის გამო გაზეთში მოთავსებული მასალები თავის მნიშვნელობასა და სიმახვილეს ჰკარგავს. ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად და გაზეთის მუშაობის ნორმალურ პირობებში ჩასაყენებლად 1933 წლის მაისში შევიძინეთ საკუთარი სტამბა. ჩამოვიტანეთ იგი რაიონში, მაგრამ არავინ ზრუნავს მისი გამოყენებისათვის. სტამბა დღემდის მოუწყობელია და უმოქმედოდ დევს აღმასკომის საწყობში. კითხვაზე, თუ როდის იქნება გამოყენებული სტამბა, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ასეთ პასუხს იძლევა: „ბინა არა გვაქვს სტამბისათვის, მოვიცადოთ კიდევ ცოტა ხანსო“.

რაიონის პარტიულმა კომიტეტმა საჭირო ზომები უნდა მიიღოს სტამბის რაც შეიძლება მოკლე დროში ასამუშავებლად.

ვალ. ჩიქოვანი.
არ. გერციაშვილი.

ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲡᲢᲘᲙᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲝᲜ

ტფილისის აგრობიოლოგიური სადგურის პარტორგანიზაციამ ვერ გამოიჩინა კლასობრივი სიფხიზლე სადგურში მოკალათებულ ანტისაბჭოთა ელემენტებისა და მავნებლების გამოსამჟღავნებლად. იმის მაგიერ, რომ გაემახვილებია კლასობრივი სიფხიზლე და ნიღაბი აეხადა მავნებლებისათვის, იგი თვით მოექცა მათი გავლენის ქვეშ, რითაც საშუალება მისცა უცხო ელემენტებს თავისუფლად ეთარეშათ აგრო-ბიოლოგიურ სადგურში და გაენიავებიათ საზოგადოებრივი ქონება.

აგრობიოლოგიურ სადგურს ბაღ-ბოსტნიდან წელს გეგმით უნდა ჰქონოდა 164.000 მანეთი შემოსავალი. ფაქტიურად 1-ლ ოქტომბრისათვის შემოსავალი უდრიდა 80 ათას მანეთს. გაზეთ „კომუნისტი“-ს ბრიგადის შეკითხვაზე, თუ რამ გამოიწვია სამარცხვინო ჩამორჩენა საფინანსო გეგმის შესრულებაში, დირექტორის მოადგილემ ამხ. **გოგიჩაიშვილმა** ასეთი პასუხი გასცა: ამის მიზეზია ის, რომ ბაღში ხშირად შემოდიან „სტუმრები“ და ხილს მიირთმევენო. ასეთი „სტუმრები“ კი აგრობიოსადგურს ბევრი ჰყავს. „სტუმრობის“ შედეგად განიავდა დიდძალი ხილი, ბოსტნეული, 1500 ძირი ვენახის ნაყოფი და სხვ.

ამ დაუპატიჟებელ „სტუმრებს“ გარდა ბაღში სისტემატიურად ეწყობოდა ბიოსადგურის თანამშრომლების ქეიფი. ბუხჰალტერმა **მჭედლიშვილმა** ადმინისტრატორობაც დაიწყო. მან თვითნებურად დაუკლო ჯამაგირი მებაღე საბა მელქაძეს, რის შემდეგ ამხ. მელქაძე იძულებული გახდა სამსახურისათვის თავი დაენებებია და წასულიყო სხვა დაწესებულებაში სამუშაოდ. ამ მდგომარეობას ყურადღება არ მიაქცია სადგურის დირექციამ და პარტ-უჯრედმა.

ამას გარდა, მჭედლიშვილი უხეშად ექცევა დაბალი თანამდებობის თანამშრომლებს, რომლებსაც ხშირად ლანძღავს. მაგ., ა.-წ. 18 სექტემბერს მჭედლიშვილმა გალანძღა სადგურის დარაჯი ამხ. გაიანე ახვერდოვა და სამსახურიდან მოხსნით დაემუქრა იმის გამო, რომ მან მჭედლიშვილს ჩაი „დროზე“ ვერ მოუტანა ახვერდოვა იძულებული გახდა სამსახური მიეტოვებია და სხვაგან გადასულიყო.

აგრობიოლოგიური სადგურის საწყობის გამგეთ მუშაობს კომბინატორი **ალავიძე**, რომელიც სისტემატიურად ითვისებდა სტუდენტების კუთვნილ სურსათს და ფართალს, კერძო პირებზე ყიდდა ბოსტნეულს და ფულს კუთვნილისამებრ არ აბარებდა. ყველაფერი ეს დაადასტურა კომკავშირის ადგ. ორგანიზაციის მიერ მოწყობილმა რეიდმა და მასალები გადასცა ტფილისის გარეუბნის საკონტროლო კომისია-მუშგლეხინს. ამ აღმაშფოთებელ ფაქტს ტფილისის გარეუბნის რაი-საკონტროლო კომისია-მუშგლეხინმა რატომღაც ყურადღება არ მიაქცია.

ადგილობრივმა პარტუჯრედმა ა.-წ. 8 მარტს გამოიტანა დადგენილება (ოქმი № 2) სტუდენტების კუთვნილ სურსათის განიავებისათვის ალავიძის საწყობის გამგის მოვალეობიდან მოხსნისა და პასუხისგებაში მიცემის შესახებ, მაგრამ დადგენილება არ გატარდა და კომბინატორი ალავიძე განაგრძობს თარეშს.

აგრობიოლოგიური სადგურის ტერიტორიაზე ცხოვრობდენ კერძო პირები, რომლებიც ტფილისის განათლების განყოფილების განკარგულებით გამოსახლებული იყვნენ და მათი საოჯახო ავეჯეულობის გადასატანად ახალ ბინებში ამხ. ალავიძეს ანგარიშ ქვეშ მიეცა 2175 მანეთი. ალავიძემ ამ მდგომარეობით ისარგებლა. მან ამხ. სევერიან ჩხარტიშვილის ავეჯი გადაიტანა აგრობიოლოგიური სადგურის ტრანსპორტით. გადატანის დროს დაიხმარა სადგურის თანამშრომელი ამხ. გიორგი კვაშალია, რომელსაც 100 მანეთის ანგარიშზე მოაწერია ხელი, ხოლო ფაქტიურად მისცა 30 მანეთი, ხოლო 70 მანეთი მიითვისა.

ალავიძემ დარაჯ ქალის ზურაბოვას შიფონერკის გადასატანი გამოიწერა 30 მანეთი, ფაქტიურად შიფონერკა სადგურის ტრანსპორტით გადაიტანა.

ალავიძეს აქვს 2.175 მანეთის ყალბი ანგარიშები. ამ აღმაშფოთებელ ფაქტს ყურადღება არ მიაქცია აგრობიოლოგიური სადგურის ბუხჰალტერმა ამხ. მჭედლიშვილმა და გაატარა ხარჯებში. ბუხჰალტერი მჭედლიშვილი და საწყობის გამგე ალავიძე ამ კომბინაციების მოწყობაში ერთმანეთს დახმარებას უწევდენ.

ადგილობრივმა პარტუჯრედმა ვერ გამოიჩინა კლასობრივი სიფხიზლე და გვერდი აუარა აგრობიოლოგიურ სადგურში თავმოყრილ კლასობრივი მტრების მხილებას.

საჭიროა ადგილობრივი პარტუჯრედი სასწრაფოდ გადახალისდეს და აგრობიოლოგიურ სადგურში მოკალათებული კომბინატორები და საზოგადოებრივი ქონების გამნიავებლები სასტიკად დასაჯონ.

„კომუნისტი“-ს ბრიგადა: **გ. სადუნიშვილი, ი. ზაალიშვილი.**

Გ Ა Მ Ო Ხ Მ Ა Უ Რ Ე Ბ Ა

გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ წერილებზე

ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲮᲡᲜᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓᲐᲜ

ამას წინათ რედაქციამ მიიღო საბჭოთა მუშაკის წერილი, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ ამხ. ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის (სიღნაღის რაიონი) სამნეო ნაწილის გამგის ვ. **ნანობაშვილისა** და პარტუჯრედის მდივნის **არტემ არუთინოვის** დაუდევრობით 27 ივლისს წყალმა წაიღო მეურნეობისათვის დამზადებული ქვიშა, რომლის ღირებულება 1000 მანეთს აღემატება. ცუდი ხელმძღვანელობის შედეგად მეურნეობაში ადგილი ჰქონდა მუშების დენადობას, აგროტექნიკური კადრების არადანიშნულებისამებრ გამოყენებას, თვით კრიტიკის ჩახშობას, მუშა-ქალების შევიწროებას და სხვა.

აღნიშნული კორესპონდენცია გამოსაკვლევად და ზომების მისაღებად „კომუნისტმა“ გადაუგზავნა სიღნაღის რაისაკონტროლო კომისია-მუშგლეხინს, რომელიც გვატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. მეურნეობის პარტმასობრივი მუშაობის ცუდად დაყენებისათვის მეურნეობის კომუჯრედის მდივანი არტაშ არუთინოვი მოხსნილია უჯრედის მდივნობიდან და გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

მოხსნილი არიან აგრეთვე სამსახურიდან მეურნეობის სამნეო ნაწილის გამგე ვ. **ნანობაშვილი** და აგროტექნიკოსი შ. **ნოზაძე**.

„ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲒᲔᲑᲐᲨᲘ“

წერილში აღნიშნული იყო, რომ სოფ. ქსურისის (სამხრეთ ოსეთი) კოლმეურნეობის ბრიგადირი ზაქარ ტოლიაშვილი კოლმეურნეობის წევრებს სისტემატიურად უკარგავდა შრომა-დღეებს. მანვე ამა წლის ივლისს თავის ბრიგადას მოამკევინა შემოუსვლელი ქერი. უკანასკნელი მან ზვინებად დაადგმევინა, რამაც მოსავალი განადგურებამდე მიიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ ბრიგადირი ტოლიაშვილის საქმისადმი უყურადღებობისა და მავნებლობის შესახებ ბევრჯერ დაიწერა ადგილობრივ პრესაში, იგი მაინც დაუსჯელად არისო.

რედაქციამ აღნიშნული წერილი გამოსაკვლევად და ზომების მისაღებად გაუგზავნა სტალინირის რაისაკონტროლო კომისია-მუშგლეხინს, რომელიც გვატყობინებს, რომ ჩვენ მიერ გაგზავნილი კორესპონდენცია მთლიანად დადასტურდა. ტოლიაშვილი მოიხსნა ბრიგადირობიდან და დაისვა საკითხი რაიმიწგანში კოლმეურნეობიდან მისი გარიცხვის შესახებ.

„ᲩᲐᲛᲝᲐᲬᲔᲠᲔᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲢᲐᲠᲔᲗ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲨᲘ“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის № 209 (10 სექტემბერი 1933 წ.) მოთავსებული წერილის შესახებ ლაგოდეხის რაისაკონტროლო კომისია-მუშგლეხინი გვატყობინებს, რომ **წერილში აღნიშნული ფაქტები მთლიანად დადასტურდა.** ვარდისუბნის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე **შაქრო ზურაშვილი მოიხსნა სამსახურიდან, გაირიცხა პარტიის რიგებიდან და მიეცა პასუხისგებაში**, იმავე სოფლის კოოპერატივის გამგეობის წევრი ელიოზ ბაგაური მოიხსნა სამსახურიდან და მიეცა პასუხისგებაში. სარევიზიო კომისიის წევრ ჰაიკ მალიანცი გამოყვანილ იქნა სარევიზო კომისიის შემადგენლობიდან და მიეცა პასუხისგებაში. კოოპერატივის ბუხჰალტერი სპირიდონ მჭედლიშვილი იმის გამო, რომ მან დაფარა კოოპერატივის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრების ბოროტმოქმედება—მიეცა პასუხისგებაში.

გაფლანგული თანხა (2036 მან.) გადახდებათ შ. ზურაშვილს, ე. ბაგაურს, ჰ. მალიანცს, სპ. მჭედლიშვილს, მაზიაშვილს და კ. მოდებაძეს.

1911 წ. დაბადებულთა გაწვევა

ახალწვეულები აღფრთოვანებით ცხადდებიან გასაწვევ პუნქტებზე

უარს აცხადებენ შეღავათებზე

(ოზურგეთი, საკუთარი კორესპონდენტისაგან)

1 ოქტომბერს დაიწყო 1911 წელს დაბადებულთა წითელ არმიაში გაწვევა, გაწვევას საფუძვლად დაედო ფართო მასობრივი პოლიტიკური კამპანია. როგორც წინასწარი სამზადისის, ისე გაწვევის წარმატებით ჩატარებაში ჩაბმული იყვნენ არა მარტო პარტიული, საბჭოთა, თავდაცვა-ავიაქიმის და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, არამედ თვით გასაწვევი ახალგაზრდობაც.

გამწვევი პუნქტი სავსებით მომზადებული შეხვდა გაწვევას.

ყოველდღიურად გამოდის კედლის გაზეთი „ახალწვეულის ხმა“. იმართება საუბრები და მოხსენებები. სპეციალურად გამოყოფილი მომხსენებლები და კულტმუშაკები აცნობენ ახალწვეულებს წითელი არმიის ყოფაცხოვრებას, საერთაშორისო მდგომარეობას სოც. მშენებლობის მიღწევებს მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგში და სხვ.

კოოპერაციის მიერ პუნქტზე ახალწვეულთათვის გახსნილია სახაიე და იაფფასიანი სასადილო. სადილი ორი კერძით ჯდება 46 კაპ. კოოპერაციის მუშაობის ნაკლად ჩაითვლება ის, რომ მან არ მოაწყო ახალწვეულებისათვის სამრეწველო საქონლით მომარაგება, თუმც ამის საშუალება ჰქონდა.

ახალწვეულთა გამოცხადება უდრიდა 100 პროცენტს—არ გამოცხადებულა მხოლოდ გასაწვევი შალვა დოლიძე, რომელიც ყირიმში აღმოჩნდა წასული. ახალწვეულებს შორის არ არის წერა-კითხვის არც ერთი უცოდინარი. მცირემცოდნე აღმოჩნდა მხოლოდ 11 კაცი.

გასაწვევთა უმრავლესობა უარს აცხადებს შეღავათებზე და დაჟინებით მოითხოვს წითელი არმიის რიგებში წასვლას.

— წერა-კითხვა იმიტომ ვისწავლე კარგად და გამოვიმუშავე კოლმეურნეობაში 174 შრომა-დღე, რომ უფლება მომეცეს საჭიროების დროს იარაღით ხელში დავიცვა საბჭოთა კავშირი—აცხადებს გასაწვევი ღლონტი.

დიდია აგრეთვე სამხედრო სკოლაში წასვლის სურვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ გაწვევის პირველ დღეებში გამწვევ პუნქტზე არ გამოცხადებულა რაიაღმასკომის და პროფკავშირების წარმომადგენლები.

8 ოქტომბერს ოზურგეთის რაიონში გაწვევა დამთავრდა. გაწვევის ჩატარებისათვის თავიდანვე ბოლშევიკური ტემპები იქნა აღებული და წარმატებითაც ჩატარდა.

11 ოქტომბრიდან გაწვევა დაიწყება ლანჩხუთის და ჩოხატაურის რაიონებში.

ს. მასხულია

გამწვევი პუნქტი მომზადებული შეხვდა გაწვევას

ქუთაისის რაიონში 1911 წელს დაბადებულთა გაწვევა 25 სექტემბრიდან დაიწყო. გამწვევი პუნქტი ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა გაწვევას და მისი მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კომკავშირის და თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მუშაობა. ისინი თავდადებით იბრძვიან გაწვევის უნაკლოდ ჩატარებისათვის.

გასაწვევები კომისიაში დიდი ხალისით ცხადდებიან.

გასაწვევთა შორის დიდი მისწრაფებაა სამხედრო სკოლებში შესვლის, შერჩეულ კანდიდატთა რაოდენობა უდრის 25 კაცს.

გასაწვევთ ახალგაზრდობის რიცხვიდან ნორმები ნიშანზე—„მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ ჩაბარებული აქვს 146 კაცს; მათ უკვე დაურიგდათ მკერდზე სატარებელი ნიშნები.

უნდა აღინიშნოს ახალგაზრდობის დიდი ენტუზიაზმი გამოცხადების საქმეში. გამოცხადება, ყოველდღიურად უდრის გეგმით გათვალისწინებულს 98 პროც. დანაკლისი აიხსნება საპატიო მიზეზით, როგორიცაა მივლინება, ავადმყოფობა და სხვ.

გასაწვევთ თავდაცვა-ავიაქიმის ხაზით გავლილი აქვთ 120 საათიანი პროგრამის მიხედვით სამხედრო სწავლება. თ. ა. მიერ მოწყობილი სასწავლო წერტები, როგორც სტაციონარული, ისე მოძრავი, კარგად მუშაობენ, რის გამოც შეთვისების ხარისხი დამაკმაყოფილებელია. ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მიერ პუნქტზე სამუშაოდ მობილიზებულია 7 პროპაგანდისტი, რომლებიც აქტიურად ასრულებენ დავალებას და გასაწვევ ახალგაზრდებში აგიტმასობრივ და პოლიტიკურ მუშაობას კარგად აწარმოებენ. მათ შორის აღსანიშნავია ამხ. ებრალიძე, მატარაძე, მამაჯანოვი, ავარდანაშვილი და მაღლაფერიძე.

გასაწვევ პუნქტზე პროფკავშირების და სამკითხველოს მუშაობა ძალიან სუსტია, სუსტია აგრეთვე თავისუფალი ორგანიზაციების მონაწილეობა.

ა. ბეჟანეიშვილი.

ოზურგეთის რაიონი. გამწვევი კომისია ამოწმებს ახალწვეულებს

საქართველოს საბჭოთა მწერლების ბრიგადა მიემგზავრება მოსკოვში

„იზვესტია“-ს რედაქციის მიწვევით, ამ დღეებში მოსკოვში მიემგზავრება საქართველოს საბჭოთა მწერლების ბრიგადა **მ. ჯავახიშვილის, ნ. ლორთქიფანიძის, ნ. ზომლეთელის ბ. ჩეიძის** და **ა. მაშაშვილის** შემადგენლობით.

მოსკოვში ჩასვლისას ბრიგადის წევრები გაემგზავრებიან სხვადასხვა ქალაქებში სოციალისტური მშენებლობის და საბჭოთა კავშირის უდიდესი ფაბრიკა-ქარხნების მუშაობის გასაცნობად.

ბრიგადა მოგზაურობაში დაჰყოფს თვენახევარს.

ხელოვნება

ახალი დადგმები საოპერო თეატრში

წელს სახელმწიფო ოპერის თეატრში განხორციელებული იქნება ექვსი ახალი დადგმა. პირველ პრემიერად დანიშნულია „ევგენი ონეგინი“, რომელიც წავა 15 ნოემბერს. დადგმა **სანდრო ინაშვილის,** მხატვარი **ს. ვირსალაძე.**

15 დეკემბერს ნაჩვენები იქნება „აიდა“ ქართულ ენაზე. ოპერას დგამს რეჟისორი **სმოლიჩი,** მხატვარი **სოკოლოვი,** იმავე რეჟისორის დადგმით 1-ლ იანვარს წავა ოპერა „კორნევილის ზარები“ გადაკეთებული ტექსტით.

შემდეგ მუშაობას იწყებს რეჟისორი ლაპიცკი, რომელმაც 15 თებერვლისთვის უნ და მოამზადოს „ბორის გოდუნოვის“ ახალი დადგმა.

მარტში ახალი დადგმით წავა „გუგენოტები“, ოპერის დადგმა მინდობილი აქვს **სანდრო ახმეტელს,** მხატვარი **ი. გამრეკელი.** მარტშივე განზრახულია დაიდგას ახალი ქართული ოპერა „ბახტრიონი“, მუსიკა **გ. კილაძის,** ტექსტი **პ. კაკაბაძის.**

ფიზკულტურა და სპორტი

ფეხბურთი

მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტი და ტფ. ინდუსტრ. ინსტიტუტი.

12 ოქტომბერს, ლენინის სახ. სტადიონზე გაიმართა შეჯიბრება მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ტფილისის ინდუსტრიალური ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. მოსკოვის გუნდმა ტფილისში სამი შეჯიბრების ჩატარება და სამივე მოიგო. მეოთხე შეჯიბრების ჩატარება აქ უხდება ინდუსტრიალური ინსტიტუტის გუნდთან. ამ შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. სტადიონის ოთხივე მხარე გადაშავებულია ოთხი ათასი მაყურებლით. ისმის მსაჯის სასტვენის ხმა. მოსკოვის გუნდი ლამაზად მწყობრად გამოდის მოედანზე. გუნდს ტაშისცემით ხვდება მაყურებელი საზოგადოება. მასვე მოჰყვება ფეხდაფეხ ტფილისის ინდუსტრიალური ინსტიტუტის გუნდი. ათიათასამდე წყვილი თვალი მისჩერებია ცენტრს. ისმის კიდევ მსაჯის სასტვენის ხმა. ამოძრავდა ბურთი, ამოძრავდნენ ფეხები. ლამაზად და მოხერხებულად თამაშობენ მოსკოველები. ისინი ფიზკულტურის ინსტიტუტის მსმენელები არიან. მათ შესისხლხორცებული აქვთ ბურთის როგორც თეორია, ისე პრაქტიკა. ენერგიულად და თანდომებულად თამაშობს ინდუსტრიალური ინსტიტუტის გუნდიც. ისინი არ აძლევენ გასაქანს მოწინააღმდეგეებს. ბურთი პერიოდულად ხან ერთის გუნდის ხელშია, ხან მეორისაში. რამდენიმე მოხერხებული კომბინაცია და მოსკოველები ბურთს ტფილისის კარების წინ ატრიალებენ. გაიყვანა ბურთი ერთ ადგილას. მოსკოველი თავდამსხმელის მოქნეულ ფეხს ტფილისის მეკარე განწირული უხვდება. გადაარჩინა ბურთი, მაგრამ ის გონებადაკარგული გაჰყავთ მოედნიდან. მზად არის მეორე სათადარიგო მეკარე. ძალიან მონდომებული იყო ორივე გუნდი. თავგამოდებით იბრძოდნენ. მაგრამ მიზანს ვერცერთმა ვერ მიაღწია. ამგვარად, პირველი ნახევარი დამთავრდა უშედეგოდ.

მეორე ნახევარი იწყება ტფილისელების შეტევით. ხშირად იქმნოდა კრიტიკული მომენტები მოსკოვის გუნდის კარებთან, მაგრამ ბურთის ბადეში მოხვედრა მაინც ვერ ხერხდებოდა. თამაშის პროცესში მოსკოველებს ეტყობათ უპირატესობა და მეორე ნახევრის 20 წუთზე ახერხებენ პირველი ბურთის გატანას. ამის შემდეგ მათ უფრო გააცხოველეს თამაში; უტევენ მოსკოველები, მაგრამ ადვილად იგერიებენ ტფილისელები მოწინააღმდეგეებს და პირიქით გადადიან შეტევაზე. თამაშის დამთავრებამდე მოსკოველებს კიდევ გააქვთ მეორე ბურთი და ანგარიში 2:0 მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის სასარგებლოდ თავდება.

დღეს ლენინის სტადიონზე გაიმართება ტფილისისა და ფოთის ნაკრები გუნდების შეჯიბრება.

ქრონიკა

მოხსენება რუსული ენის სწავლების შესახებ

15 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე შესდგება ტფილისის სახ. უნივერსიტეტთან არსებულ აკად. ნ. მარის სახ. საენათმეცნიერო წრის საჯარო სხდომა.

დღის წესრიგი: რუსული ენის სწავლების შესახებ სა[ქ]. კ.პ. (ბ) ც. კ-ის 2 ოქტომბრის დადგენილება. მომხსენებელი ამხ. გ. გოგუაძე.

სხდომაზე მოწვეულნი არიან: პროფ. ლ. ალნიაშვილი, ქ. კეკელიძე, ს. დანელია, აკ. შანიძე, გ. ახვლედიანი, ლ. მელიქსეთბეგი, გ. ნათაძე, დ. კარბელაშვილი, დ. მგელაძე, ა. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ქ. [illegible], აკ. [illegible], აგრეთვე რუსული ენის მასწავლებლები, უნივერსიტეტის სამეცნიერო თანამშრომლები და ასპირანტები. სხდომა შედგება ქიმიის აუდიტორიაში (მესამე სართული).

თათბირი სამხედრო ლიტერატურის საკითხებზე

დღეს საღამოს 7 საათზე ტფილისის წითელარმიის სახლში შესდგება თათბირი სამხედრო ლიტერატურის საკითხებზე. მოხსენებას გააკეთებს საკავშირო მწერალთა ორგკომიტეტის წარმომადგენელი ამხ. კარცევი და კ.წ.დ. არმიის პოლიტსამმართველოს წარმომადგენელი ამხ. არაბელსკი. მწერლების დასწრება სავალდებულოა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

17 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, საქართველოს კ.პ. (ბ) ტფ. კომიტეტის კულტპროპგანყოფილებაში ამხ. აროშიძესთან (ოთახი № 34), შესდგება პარტთათბირი ქ. ტფილისის პირველ და მეორე საფეხურის სკოლების პედაგოგებისათვის მარქსისტულ - ლენინური სწავლების ორგანიზაციის საკითხზე. თათბირზე უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: ბუნიატოვა (სტალინის რაიკომი), სიხარულიძე (ლენრაიკომი), ბერიშვილი („26“-ის რაიკომი), გეგენავა (ორჯონიკიძის რაიკომი), პოლოსოვი (ც. კ-ის კულპროპი), კომკავშირის რაიკომების კულტპროპგანყოფილებათა გამგეები, განათლების მუშაკთა კავშირის რაიკომების თავმჯდომარეები, რაიონული განათლების განყოფილებების გამგეები, ამხ. გოფმანსკი (კომკ. ტფ. კომიტეტი), ამხ. ქაცარავა (ტფ განათლების განყ.), ამხ. მგელაძე (განსახკომი), საქპროფსაბჭოს და განათლების მუშაკთა კავშირის კულტგანყოფილების გამგეები, პარტიისა და კომკავშირის რაიონული უჯრედების მდივნები და მსხვილი სკოლების ადგილკომების თავმჯდომარეები.

ორჯონიკიძის რაიკომის კულტპროპგანყოფილება იუწყება, რომ 14 ოქტომბერს პარტკაბინეტში მოწვეულია რაიონული პარტაქტივის სემინარის მოოიგი მეცადინეობა. თემა: ლენინის მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. ყველა მსმენელის დასწრება სავალდებულოა.

—:—

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისიის პარტკოლეგია წინადადებას აძლევს ამხ. ნადიბაიძეს (ყაზბეგის რაიკოოპკავშირის ყოფ. თავმჯდომარე), გამგეობის წევრს ფიცხელაურს და ამხ. შარაშენიძეს—ამბროლაურის რაიონის პოლიტბიუროს უფროს, სასწრაფოდ გამოცხადდნენ ც. საკ. კომისიის პარტკოლეგიაში (რუსთაველის პროსპ. 24, ოთახი № 6).

—:—

საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკ. საკონტროლო კომისიის პარტკოლეგია სთხოვს ამხ. სიმონ ქავთარაძეს 15 ოქტომბერს დილის 9 საათზე გამოცხადდეს პარტკოლეგიაში.

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის კულტპროპგანყოფილება
16 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში

იწვევს პრესის რწმუნებულთა
საერთო საქალაქო კონფერენციას

პარტუჯრედების, კომკავშირის უჯრედების, ფაბქარხკომების კულტპროპორგანიზატორებთან და მრავალტირაჟიან და კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებთან ერთად.

დღის წესრიგი:

1. მოხსენება პრესის გავრცელების შესახებ (მომხს. ამხ. **გრიგორიანი**).
2. თანამოხსენება პრესის მიწოდების შესახებ (ამხ. **კაკაურიძის** თანამოხსენება).

3—1

შვილები: ნინა, ირინე და სოლომონი რძალი ოლიკო, სიძე იაკობ დემურიშვილი და შვილიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი მამის

ია ეკალაძის
(იაკობ თომას-ძე ცინცაძის)

უეცარ გარდაცვალებას სამოქ. პანაშვიდი დღეს საღ. 7 ს. დაკრძალვა 15 ოქტ. ვერის სასაფლაოზე. გამოსვენება 5 ს. ყიფიანის ქ. № 11.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ 11 ოქტომბერს ტფილისში უეცრად გარდაიცვალა მწერალთა კავშირის წევრი, მწერალი

ია ეკალაძე
(იაკობ ცინცაძე)

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღ. 7 ს. ბინაზე, ყიფიანის ქ. № 11. დაკრძალვა 15 ოქტომბერს ვერის ახალ სასაფლაოზე

შვილი ირინე და სიძე იაკობ დემურიშვილი მშობლებით იუწყებიან საყვარელ მამის

ია ეკალაძის
(იაკობ თომას ძე ცინცაძის)

გარდაცვალებას. 292

ძიძილ ზაალის ძე და ალექსანდრა დიმიტრის ასული ნაცვლიშვილები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ია ეკალაძის
(იაკობ თომას ძე ცინცაძის)

უეცარ გარდაცვალებას. 286

გიორგი, კოწია, ვასო აფთონი, არსენ, კოლია ანთიძეები უშანგი მამალაძე, გიგო კარახანი აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს ძვირფას

პლატონ ანთიძის

გარდაცვალებას, დასაფლავება 15 ოქტ. კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება პლეხანოვის პრ. № 93, 5 ს. 299

დედა მარიამ. მამა მიხეილი, ძმა ვახტანგი, ბებია ნინო, მამიდა ეფროსინე ბერეჟიანები აუწყებენ ნათესავ მეგობრებს თავის საყვარელ

პატარა ბიჭუ იკას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 14 ოქტ. 4 ნახ. ს. ვერის სასაფლაოზე. კავშირის ქ. № 5,

---

ცეკავშირთან არსებული გაერთიანება „საქთევზხორცი“-ს მუშა მოსამსახურენი მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე გაერთიანების დირექტორის ამხ. გრიშა ჩანტლაძის სიძის, ძველი ბოლშევიკის და დაუვიწყარი ადამიანის

პლატონ გიორგის ძე ანთიძის

გარდაცვალების გამო 307

გულდამწვარნი დედა ნინა პლატონის, მელიტონ, გრიშა, ანიკო ლოქაჯები, ლ. ვანკა, კატო ჩიკვაიძეები ლიზა, ევდოკი ლუბა, პლატონ ცქიტიშვილები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს

ფაჩია ვლადიმერის ძე ჩიქვაიძის

უდროოდ გარდაცვალებას 282

უახლოესი ამხანაგები: ლ. ზაქარაია, ბ. ბერულავა, ლ. გაბისონია კ. ყვაშილავა, ი. კვირკველია ფაჩულია ვ. ბაქარიძე ბ. სიჭინავა, ა. ესებუა რ. გულორდავა. ლიპარია იუწყებიან მეგობარ ბენია პაპკორიას ცოლის

ანიჩკა სუბატაშვილი-პაპკორიას

უეცრად გარდაცვალებას. დაკრძალვა ზუგდიდში 13 ოქტ. 304

სიმონ და ოლია გოგუაძენი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი მეგობრის

გიორგი დავითის ძე ულენტის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 15 ოქტ. ს. სამებაში (გურია) 398

შვილები: მიტროფანე, პლატონი ვალოდია მინა, ვალერიანე, რძლები: ელიდა, მარგალიტა, თინა, სიძეები: კოლია, მაფათაძე, იონა ქანტურაია შვილებით მწუხარებით იუწყებიან ძვირფას

მაკრინე კორძახიას

გარდაცვალებას დაკრძალვა 14 ოქტ. სოფ. აბაშაში 303

„26“ კომ. სახელ. რაიმილიციის სამმართველოს უფროსი და რიგოსანთა შემადგენლობა უსაზღვრო მწუხარებას გამოსთქვამს მის რწმუნებულის

ამხ. გალაქტიონ სერგოს ძე ზაქარეიშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო. დასაფლავება ს. საჭამიასერში 17 ოქტ 360

დამწუხრებული დედა ელენე, დები: მარიამი, ოისიკო, ნინა, ლიზა, ძმები: ისაკი, ვანო სოსო, რძალი ასია, სიძეები: დავით მექი, დისწულები, გოგი, მერი იუწყებიან

ელენე გრიგოლის-ასული ჭავჭანიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ხონში 15 ოქტ. 4 ს. 278

სარეწაო საბჭოს მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან

ნატალია ფოცხვერაშვილი-ქებაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ზესტაფონის რაიონში ს. ცხრა-წყაროში 14 ოქტ. 297

გრიშა ცოლშვილით, ლუკა ცოლშვილით, კალიკო, ინჯგიები განუსაზღვრელი მწუხარებით იუწყებიან, რომ მათი ძვირფასი და დაუვიწყარი ნათესავის

ბაბილინა ჭოჭუა-სურმავას

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა სოფ. ბომოთში (მარტვილის რაიონი) 15 ოქტ. 5 ს. 291

თავზარდაცემულნი ბებია ვასასი, ძმები დუშიკო, ლევუშა. დები: ქეთო, ოლია, რძალი თაფლო შვილებით ჩიქვაიძეები იუწყებიან მათთვის უსაყვარლეს

ფაჩია ვლადიმერის ძე ჩიქვაიძის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა სოფ. სარგვეში 15 ოქტ. 282

უახლოესი ნათესავები: შალიკო ჯაიანი, კესა, ნატაშა, კოსტა დუნდუები და ჭონტი, იპოლიტე ჯაიანები იუწყებიან ძვირფასი ბიძაშვილის

სარა ჯიბულოს-ასული ჯაიანის

უდროოდ გარდაცვალებას, დაკრძალვა მარანში 15 ოქტ. 289

უშანგი ორჯონიკიძე ცოლით ქეთინო კონსტანტინეს ასული ანთიძისა შვილით ცისანათი მწუხარებით აუწყებენ საყვარელ ბიძის

პლატონ გიორგის ძე ანთიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება მიხაილოვის საავადმყოფოდან 15 ოქტომბერს 5 ს. კუკიის სასაფლაოზე. 296

მ/გ მილიციის პოლიტგანყოფილება, კომუჯრედი პროფკომი მწუხარებას გამოსთქვამს მე-3 საქმილიციო რაიონის რწმუნებულის, აქტიური პროფმუშაკის, დამკვრელი კომკავშირელის

გალაქტიონ ზაქარ იშვილის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო გამოსვენება 14 ოქტ რესპუბლიკის საავადმყოფოდან 5 საათზე. 301

შურა დუდუჩავა იუწყება მეგობრისა და ამხანაგის დათიკო დიასამიძის მეუღლის ძვირფას

ვალიას

გარდაცვალებას. 260

ბიძა პლატონი, ბიცოლა შუშანა შვილებით მარგალიტა, გივი, ნათელა ხუნდაძეები და სტირიან დის შვილის

გალაქტიონ ზაქარეიშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება რესპ. საავადმყოფოდან 14 ოქტ. 5 ს. დასაფლავება ს. საჭამიასერში. 302

დამწუხრებული და ვერიჩკა, სიძე არკადი, დისშვილები: ქეთო, იოველი, ვენერა, ამირანი, ნუნუ და სონია გოგაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მათთვის საყვარელ, უძვირფასეს

შურა ნადირაძე-ხუჭუას

უდროოდ გარდაცვალებას 287

დამწუხრებულნი: ოლა, ვახო შენგელიები, ბიძა ა. გვათუა, დეიდა ნ. ნ. გრომაშვილი, დეიდაშვილები: კ. გრომაშვილი და ბ. ქვანია ვაცნობებთ ნათესავებს და მეგობრებს

ევგენი დავითის ძე გუგუნავას

გარდაცვალებას, გამოსვენება 14 ოქტ ყოფ. არამიანცის საავადმყოფოდან 5 ს, ავლაბრის სასაფლაოზე. 240

გულდაკლული მამა დავითი, დები: პოლინა, ელენე, თამარა ბიძაშვილი კატო რატიანები, სიძე ბესარიონ სანაძე თავისი შვილებით იუწყებიან

ცუცუ დავითის-ასული რატიანის

სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია სოფ. კონტუათში (ხონი) 18 ოქტ. 291

გაუბედურებული დედა ოლღა და ქეთო ლოლაშვილები, დეიდა მარიამი შვილებით: ვლადიმერი ივანე, გიორგი, ნიკოლოზი ტიგინაშვილები იუწყებიან

ნინა ლოლაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება 5 ს. დაღესტანის ქ. № 15, ავლაბრის სასაფლაოზე. 280

გულდათუთქული მეუღლე მიხა. შვილები: ლოლია, ბუცა, ტატუ. ხუტა მულები, პავლე ცოლშვილით, ჭუჭუ ცოლშვილით სურმავები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ საყვარელ

ბაბილინა ჭოჭუა-სურმავას

უდროოდ დაკარგვის გამო. დასაფლავება მარტვილის რ. ს. ბომბოთში 15 ოქტ. 5. საათზე 391

ნესტორ შვილებით და რძლებით: ვალერიანე, პატკუ, კირილე, კლავა: შალიკო ქუნია, ვანიჩკა და ლუბა ოდილავაძეები იუწყებიან

ხრისტო რუხაძის

გარდაცვალებას, დაკრძალვა 14 ოქტ. სოფ. სვიტირში 285

დამწუხრებული ბიძა გიორგი ბიცოლა მინა ყორა, შვილებით: ფედო, ანიკო კესო, ალექსანდრე, თამარა, ცაცა, ჯონდო ბახტაძეები, სიძეები გვეგვე ლოლუა, კოწია შენგელია მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარ

სარა ჯიბულოს ასული ჯაიანის

გარდაცვალებას. 306

ღრმად დამწუხრებული მშობლები: მელიტონ, ბაბინე, შვილებით იუწყებიან რომ 14 ოქტ. სადგურ ჯუმათში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მედინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტ

კოწია (ნიკო) დოგორჯგინიძის

ხსოვნის აღსანიშნავად 304

მწუხარებაში მყოფნი: სიმამრი იაგორი, სიდედრი მაკრინე, ცოლის ძმები: ანდრო, ანანი, გრიშა, ტროფიმე აკაკი, რძლები: თამარი ელისო, ელენე, კლარა ჩანტლაძეები იუწყებიან ძვირფასი სიძის

პლატონ გიორგის ძე ანთიძის

გარდაცვალებას 294

გაუბედურებული ცოლი თეკლე, შვილი ოთარი უსაზღვრო მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი

პლატონ გიორგის ძე ანთიძე

სამოქალაქო პანაშვიდი 14 ოქტ. 6 ს. პლეხანოვის ქ. № 93, დაკრძალვა 15 ოქტ. 5 ს. კუკიის სასაფლაოზე. 295

მარია მაღნარაძისა ქმარშვილებით გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას თავის დაუვიწყარ ბიძაშვილის

მაკრინა ბესარიონის ასული კორძახიას

გარდაცვალების გამო 279

სამუდამოდ გაუბედურებული ნინო მაჭავარიანისა აუწყებს ნათესავებს და მეგობრებს, რომ 14 ოქტ. 5 ს. დიდუბის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელ ქმრის აგრონომ

გიორგი ვიქტორის ძე მაჭავარიანის

ხსოვნის აღსანიშნავად. 284

განათლ. სახკომი.
ნებართვით
ვამზადებთ
მოწაფეებს:
10-წლ. და 7-წლ. მოწმობისათვის. აქვე ვასწავლით ბუხჰალტერიას და კომერციულ გამოანგარიშებას **ბუხჰალტრის** და **მოანგარიშის** თანამდებობისათვის. კარგარეთელის ქ. № 3 A კინო „ოქტომბრის“ მახლობლად. დილ. 8-10 ს. საღ. 4-6 ს. 10—9.

უმაღ. გან. მათემატ.
მასწავლებელი
ამზად. მათემატიკაში 7 წლედ. მოწმობაზე ბავშვებს და ჰასაკ გადაც. ვასწავლი ყველა საგნებს მე-5, 6, 7 ჯგ. პროგრამით და
მოანგარიშის
თანამდებობაზე.
პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. 5) ნახვა 8—12 ს. 4—7 ს.
4.3 10

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

14 ოქტომბერს 3 აბონ. 1 წარ.	15 ოქტომბერს 1 აბონ. 1 წარ.	16 ოქტომბერს 6 აბონ. 1 წარ.
ურიელ აკოსტა	შიში	ურიელ აკოსტა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები თეატრის სალაროში დილის 11 ს.—12 ს. საღამოს 6 ს.—10 ს. პირველი წარმოდგენაზე დასასწრებლად შემოტანილი უნდა იქნეს მე 2 გადასახადი.

რუს. თ. თეატრი სახელ. ახმეტელის ხელმძღვანელობით 1933—34 წ.

15 ოქტომბერს 1 აბ. 1 წარ.	16 ოქტომბერს 3 აბონ. 1 წარ.	17 ოქტომბერს 5 აბონ. 1 წარ.
in tirannos	in tirannos	in tirannos

მეორე გადასახადი სავალდებულოა, შეტანილი უნდა იქნას წარმოდგენის დღის 2 საათამდე. სალარო ღიაა 11—2, 6—9 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე. ნ. 394

ხმოვ. კინო-თეატრი ოქტომბერი
13 ოქტომბრიდან, ყოველდღე
საზღვარგარეთული მხატვრული ფილმი
ნიუ-იორკის დოკებში
მთავარ როლებში: ბეტტი კომპსონი, ოლგა ბაკლანოვა, ჟორჟ ბანკროფტი, მიტჩელ ლიუისი.
პროგრ. გარეშე თვითეულ სეანსში სოიუზკინოს ჟურნალი № 19.
1. ბელომორსკის არხის დამთავრება, 2. ექსპედიცია ახალ ბინაზე. 3. საქ. ჩაის პლანტაციები.
ბავშვები 16 წლამდე არ დაიშვებიან. ნ. 407

სახ. ოპერა

დღეს 8 აბონ. 1 წარ.	15 ოქტომბერს მე-10 აბონ. 1 წ.	16 ოქტომბერს მე-12 აბონ. 1 წარმ.
რიგოლეტო	აბესალომ და ეთერი	ტრავიატა

ის აბონენტები, რომელთაც თავისი წარმოდგენის დღის 2 საათამდე არ ექნებათ გადახდილი მესამე მორიგი გადასახდელი, კარგავენ სპექტაკლზე დასწრების უფლებას და მათი ადგილები გაიყიდება ცალობით. 308

სახკინმრეწვის კინო-თეატრები:

ეთერი 7-30 9, 10-30.	სათავგადასავლო ფილმი აბრეკ-ზაური
დამკვრელი სეან. დასაწ. 7-30	მხატვ. ფილმი ცხოვრება ხელში პრ. გარ. ჟურ. სადარაჯოზე № 8
ტემპი საზ. 7-30, 9-20, 11 ზამთრის 7, 8-45, 10-30	საზღვ. ისტ. ფილმი სალამბო პროგ. გარ. სოიუზკინოს ჟურ № 24.
კომინტერნი (დიდუბე) 8, 10	მხ. ფ. კონტრაბანდისტები ჩილიში პრ. გარეშე—სახკინმრ. ჟურ. № 13
ოქტომბერი 6, 7-30, 9. 10-30.	საზღვ. ფილმი ნიუ-იორკის დოკებში პრ. გარ—სოიუზკინოს ჟურნ № 19
დამკვრელი 6, 7-30, 9, 10-30.	მხატ. ისტ. ფ. კაპიტანის ქალიშვილი პრ. გარ. სოიუზკინოს ჟურ. № 23
რ. ლუქსემბურგის 6-30. 8. 9-30. 11	ხმოვანი მხატვრ. ფილმი მოჩვენება რომელიც აღარ განმეორდება
სპარტაკი 6, 7-30 9, 10-30	მხატ. ფ. კლოუნ ჟორჟის ბენეფისი პროგრამის გარეშე საბჭ. საქ. № 14
26-ის სახელობის (ავლაბარში)	მხატ. ფილ. ქალი გემის ბაქნიდან პროგ. გარ. ჟურ. № 13
მეცნიერება და ტექნიკა 8, 9-30	ახალი ტექნიკური ფილმი ცამი (ცენტრ. აეროჰიდროდინამიკური ინსტ.)
საბავშვო კინო დღის 12 და 2 საათზე	საბავშვო ფილმი მუდამ მზად ვარ

სახელმწიფო ტექნიკური გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“

სია

სახელმძღვანელოებისა ინდუსტრიალურ ტექნიკუმებისა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელთათვის

იცემა განათლების სახალხო კომისარიატის დავალებით

	ავტორი	სახელმძღვანელოების დასახელება	გამოცემის ვადა
1.	ი. შტეინბერგი	ალგებრა (ათწლედებისა და ტექნიკუმებისათვის)	15/10—33 წ.
2.	„	მთელი რიცხვების მეთოდიკა (მასწავლებელთათვის)	15/10—33 წ.
3.	პ. მეტრეველი	მეთოდური ნარკვევი ზოოლოგიაში (მასწავლებელთათვის)	გამოსულია
4.	„	მეთოდური ნარკვევი ბოტანიკაში (მასწავლებელთათვის)	„
5.	„	ბუნებისმეტყველება დაწყებით სკოლაში (მასწავლებელთათვის)	15/10—33 წ.
6.	შ. სიხარულიძე	პოლიტექნიკური სწავლების მეთოდიბი	10/10—33 წ.
7.	ა. გულისაშვილი	პოლიტექნიკური სკოლის სტანდარტული იარაღები	გამოსულია
8.	ქავთარაძე	აქტიური მეთოდები ბუნებისმეტყველებაში	1/11—33 წ.
9.	В. Канделаки и Мгеладзе	Курс для чтения по русскому яз. (Для высших учеб. зав. и заочников)	20/10—33 г.
10.	„ „	Учебник русской грамматики. Морфология. Синтаксис (Для средних и высших учеб. завед.)	20/10—33 г.
11.	გულისაშვილი	მხაზველობითი გეომეტრია	გამოსულია
12.	ჭელიძე	ტექნიკური ხაზვა	1/12—33 წ.
13.	ხ. კაკაბაძე და ვართაპეტოვი	ტექნიკური მექანიკა	15/11—33 წ.
14.	ხვალკოვსკი	ხლართების თეორია და ქსოვილთა ანალიზი	1/12—33 წ.
15.	კარპოვი, კრუპსკი, კოლესოვი	მასალათა გამძლეობა	15/12—33 წ.
16.	კლიბერი და კარსტენი	ფიზიკის სახელმძღვანელო	1/1—33 წ.
17	გუდიაშვილი—ყანჩაველი	მხაზველობითი გეომეტრია, როგორც ხაზვის საფუძველი	გამოსულია
18.	გ. ბარნაბიშვილი	ქსოვილების შემოწმება და ტექნიკური გამოცდა	„
19.	ვალტერი	პირველი ნაბიჯები გეოლოგიაში	„
20	ბოგდანოვი და პეტროვი	საშენი მასალები (დაუსწრებელთათვის)	1/1—34 წ.
21.	დ. ხმიადაშვილი	რადიოტექნიკა	გამოსულია
22	ევანგულოვი და ხოლმოგოროვი	ლითონების ელემენტარული ტექნოლოგია	„
23.	შტოლცენბერგი	ლითონების ტექნოლოგია	„
24	ვ. აბვლედიანი	ბოჭკოვან მასალათა ქიმიური ტექნოლოგიის რჩეული ადგილები	„
25	ნ. თურქაძე	ლითონთა ტექნოლოგია	15/12—33 წ.
26.	ბითაძე	ყამირი გზები	1/1—33 წ.
27	ანტ. მუჯირი	ელემენტარული მექანიკა (მეორე შევსებული გამოცემა)	გამოსულია
28	ტ. აბზიანიძე	პრაქტიკული ელექტროტექნიკა (მეორე შევსებული გამოცემა)	„
29.	ა. გულისაშვილი	მანქანათა ნაწილები, 1 ლი ნაწ.	„
30.	მ. მგელაძე	ელემენტარული მექანიკა და მანქანათმცოდნეობა ნაწ. 1	„
31.	„	„ „ „ 2	„
32.	მოდესტოვი	ფიზიკა, 1, 2, 3 ნაწ.	გამოსულია
33	კაშინი	ფიზიკა, ნაწ. 1	„
34.	გოროხოვი	ელექტრომანქანები	„
35.	პორგენი	ელექტრომექანიკის ძირითადი კანონები	„
36	სილ. კაკაბაძე	საზეინკლო, სახარატო, სამჭედლო იარაღები	„
37.	კ. მეგრელიძე	ტყავის ტექნოლოგია	1/12—33 წ.
	უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელთათვის		
38.	ა. ხარაძე	უმაღლესი მათემატიკის საფუძვლები (მეორე შევს. გამოცემა)	1/1—34 წ.
39.	გრიმზელი	ფიზიკა ტ. 1 (ფ. 50)	1/1—34 წ.
40.	პოდოლსკი	მასალათა გამძლეობა ნაწ. 1	1/11—33 წ.
41.	„	„ „ „ 2	1/12—33 წ.
42	„	„ „ „ 3	1/3—34 წ.
43	ა. ჩიქოვანი	მასალათა გამძლეობის ამოცანათა კრებული	12/10—33 წ.
44.	ტიმოშენკო	მასალათა გამძლეობა (ფ. 45)	25/11—33 წ.
45.	გ. მუხაძე	ნაშენთა სტატიკა ნაწ. 1	1/1—34 წ.
46.	ბახმეტიევი	ჰიდრავლიკა, ნაწ. 2	20/10—33 წ.
47.	ჩიქოვანი	ზოგადი ელექტროტექნიკა	20/12—33 წ.
48.	ევალდი	საშენ მასალათა ტექნოლოგია	1/3—33 „
49.	ბახმეტიევი	ჰიდრავლიკა, ნაწ. 1	15/10—33 „
50.	პრ. მაჭავარიანი	შენობათა ნაწილები (ნაწ. 2)	1/12—33 „
51.	პრ. ბენაშვილი	ტოპოგრაფია	გამოსულია
52.	გ. გოქაძე	სასოფლო სამეურნეო მშენებლობა	„
53.	„	მხაზველობითი გეომეტრია	„
54.	გ. ხუნჯუა	გეოდეზია	„
55.	მ. წულეისკირი	რკინა ბეტონი	1/3—34 წ.
56.	ა. ბეგიაშვილი	დინამიკა	გამოსულია
57.	„	სტატიკა და კინემატიკა	1/1—33 წ.
58.	ა. ორლოვი	სატყეო ტაქსაცია	1/1—34 წ.
59.	ვ. მირზაშვილი	მერქნიანი ეგზოტების აკლიმატიზაცია და ნატურალიზაცია	1/11—33 „
60.	გუდიაშვილი—ყანჩაველი	თარაზული სამხრიხაო ჩარჩოები	1/3—34 „
61.	შევიაკოვი	მადნეულ ბუდობთა დამუშავება ტ. 1	გამოსულია
62.	„	„ „ „ „ 2	1/3—34 წ.
63	უსოვი	მყარი კაუსტობიოლიტების გეოლოგია	1/12—33 „
64.	პავლოვი	კაზმის გამოთვლა ბრძმედებში	გამოსულია
65.	ვალერდი	სპილენძის რაფინაცია	„
66.	ოტოვი	სამთო სამუშაოები	„
67.	ა. გულისაშვილი	მანქანათა ნაწილები (ვრცელი კურსი)	1/3—34 წ.
68.	ნოდია	გეოფიზიკა. ნაწ. 1	გამოსულია
69.	ლ. კოჩინაშვილი	საწვავ მასალების ტექნოლოგია	„
70.	ა. თვალჭრელიძე	კრისტალოოპტიკა, რუს. ენ.	1/1—34 წ.
71.	„	„ „ ქართ. ენ.	1/1—34 „
72.	ვახ. კაკაბაძე	არაორგანიულ ნივთიერებათა ტექნოლოგია	10/11—33 „
73.	გატერმანი	არაორგანულ ქიმიის პრაქტიკუმი	1/1—34 „
74.	კრიმი	ტექნიკური ანალიზი	1/3—34 „
75	მიხაილენკო	მენდელეევის ელემენტთა პერიოდული სისტემა	15/10—33 „
76.	ი. ყიფშიძე და უკრაინცევი	ტექნიკური ხაზვა	1/12—33 „
77.	რ. ნიკოლაძე—პოლიევქტოვა	ატომი და ელემენტი თანამედროვე ქიმიაში	1/12—33 „
78.	ნ. ყანჩელი	ტექნიკური დანორმვა სამთო საქმეში	გამოსულია
79.	სიხკო	ელექტროფოლადის წარმოება	„
80.	ბაიკოვი	მეტალურგიის თეორიული საფუძვლები. რუს. ენაზე	1/1—34 წ.
81.	გ. წულუკიძე	ქვანახშირის გამოღების მექანიზაცია	გამოსულია
82.	ნ. გვინჩიძე	საგზაო მანქანები	10/10—33 წ.
83.	მედელი	მუდმივი დენის მაგისტრალური გზები	1/1—34 „
84.	საკოვიჩი	გადასარბენებისა და სადგურების გამტარუნარიანობა	გამოსულია
85.	ი. ქართველიშვილი	ავტომობილის კურსი	1/3—34 „
86	ჩერდანცევი	ცვლადი დენის თეორია	20/10—33 „
87.	სტ. ყირქესელი	სინქრონული მანქანები	15/10—33 „
88.	პოიარკოვი	საფაბრიკო საქარხნო ელსადგურები	გამოსულია
89.	ეგიაზაროვი	ჰიდროელსადგურები, ტ. 1	„
90.	ხუშკოვი და გლაზუნოვი	ცენტრალური ელსადგურები	1/3—34 წ.
91.	ნ. მუსხელიშვილი	ანალიტური გეომეტრიის კურსი	1/2—34 წ.
92.	ან. ბენაშვილი	სფერული ტრიგონომეტრია	გამოსულია
93.	გ. გედევანიშვილი	მანქანისა და მისი ნაწილების ანალიზი	„
94.	პ. გუგუშვილი	ტექნიკის მარქსისტული ისტორია	„
95.	დაშლეგერი	ნარკვევები მრეწველობის განვითარებიდან	„
96.	ე. ბედია და პ. აფხაძე	საშუალო პოლიტექნიკური სკოლის გარდაქმნის ძირითადი საკითხები	„
97.	პლანკი	ფიზიკა ტ. 1	1/1—34 წ.
98.	„	„ ტ. 2	1/3—34 წ.
99.	ჰიუტტე	ტ. 1	1/3—34 წ.

სახ. ტექნიკური გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“-ს გამგე: ივ. ნაცვლიშვილი.
საგამომცემლო ნაწილის გამგე: შ. აფხაიძე.

სტამბა „კომუნისტი“. კამოს ქ. 68.
მთავლიტ-ის რწმუნებული ა 1477.